ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 24 მაისი, 2019 №121 (8075) ფასი: 60 თეთრი

ადა მარშანია: „10 ქართველი პოლიტიკოსიდან 8 შიზოფრენიკია“

გვ.5

21 მაისიდან ძმები გრიმების ზღაპრები „მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

მიხეილ დვალიშვილი: „დავხედე ბავშვს, თეთრად ჰქონდა დუქი ამოსული, გარდაცვლილი იყო“

ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული დედა დანაშაულს არ აღიარებს

გვ.7

გვ.2

„აზერბაიჯანმა დავით გარეჯამდე მისასვლელი სამანქანე გზის მშენებლობა დაიწყო“

„საქართველოს ხელისუფლება მალე ქვემო ქართლსაც დაგვაკარგვინებს“

ივანიშვილი ოპოზიციის გადაბირებას აპირებს

გვ.5

ხალხის გულის მოსაგებად, შესაძლოა, ფარცხალაძე დაიჭირონ

„ერთი მაჟორიტარული ოლქის წაგება ივანიშვილის პირამიდას მთლიანად ჩამოშლის“

გვ.3

„თბილისელების 70% ამბობს, რომ არც ქოცი უნდა და არც ნაცი“

გვ.3

გვ.4

გიორგი კეპულაძე: „ოცნების“ პირობებში 100 დოლარი 110 ლარით გაძვირდა“

„ლარის გაუფასურების გამო იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასები მოიმატებს“

სამართალი გვ.7

ჩვილის მკვლელობისთვის დაკავებული დედის ახლობლებმა კურიერის ჟურნალისტები ცემეს

„შალვა ქათამაძემ ყოფილი ცოლი საწოლზე დააბა და ჯამრთ გაგუდა“

ქეთი სუთიძე საქართველოში გადმოასვენეს



„ბიჭები წიხლით არიან ნაცემი, გოგოს სახეში აქვს გარტყმული“

სროლა რუსთავში

ეკონომიკა გვ.6

ტაქსის მძღოლები მერიას ულტიმატუმით მიმართავენ

მთავრობა ბიოწარმოებაში ჩართული ფერმერების სუბსიდირებას გეგმავს



მამუკა ბახტაძე ლარის გაუფასურებაზე: „თურქეთის გავლენაა. ეს არის ძალიან მოკლევადიანი ეფექტი“

ISSN 1987-9385

5 შაშკინი: „ბევრად უფრო მძიმე ფაქტები გახდება ცნობილი, ვიდრე გრუ-ს აგენტის საქართველოს ბიუჯეტიდან გამდიდრებაა“

4 შესაძლებელია, პოლიეთილენის პარკებთან დაკავშირებულახალ რეგლამენტში ცვლილებები შევიდეს

5 ჭიათურაში გაფიცულმა მაღაროელებმა ყველა ის წერტილი გადაკეტეს, საიდანაც მადანი გააქვთ

6 „ქვეყანა, სადაც ჩავარდნილია პირველადი ჯანდაცვა და საექთნო სისტემა, ვერასდროს გახდება ლიდერი“

„აზერბაიჯანმა დავით გარეჯამდე მისასვლელი სამანქანე გზის მშენებლობა დაიწყო“

„საქართველოს ხელისუფლება მალე ქვემო ქართლსაც დაგვაკარგვინებს“

შორენა მარსაგიშვილი

ნიკოლოზ მჟავანაძე: „მოვუწოდებ საპატრიარქოს, მოიკითხოს, სად წაიღეს აზერბაიჯანელებმა ქართველი წმინდანების ძვლები“

რა სამუშაოები მიდის დავით გარეჯის მიმართულებით, რატომ არის საქართველოს ხელისუფლება მოღალატე, რატომ დადუმდა საპატრიარქო? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

ნიკოლოზ მჟავანაძე:

– 23 მაისს მე ველაპარაკე დავით გარეჯში მყოფ სასულიერო პირებს. მათ მითხრეს, რომ აზერბაიჯანულმა მხარემ თავიანთი სამხედრო ბაზიდან ჩიჩხიტურის კოშკის მიმართულებით დაიწყო სამანქანო გზის გაყვანა.

მიკვირს ჩვენი ხელისუფლების, რომ გამოვარდება აზერბაიჯანის არაოფიციალური საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი და გვეუბნება, ჩუმად ვიყოთო, სირცხვილის გრძნობა საერთოდ არ აქვს.

– რატომ არის ზალკალიანი აზერბაიჯანის არაოფიციალური საგარეო საქმეთა მინისტრი?

– იმიტომ, რომ გამუდმებით აზერბაიჯანის ინტერესებს გამოხატავს, გვეუბნება, დავით გარეჯზე ჩუმად ვიყოთ, სიტუაცია არ გავამწვავოთ. ყველა წინადადებაში იმას გაიძახის, რომ აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია.

შე დალოცვილო, ჩვენ ჩუმად უნდა ვიყოთ, რომ სიტუაცია არ გავამწვავოთ და ამ დროს აზერბაიჯანმა თავზე დაგვამხოს? მათ სამანქანე გზა გაჰყავთ და ჩვენ ხმაც არ უნდა ამოვიღოთ.

ან რა გააწყალეს გული ამ ზალკალიანმა და პრემიერმა იმის ძახილით, რომ აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი სახელმწიფოა. მე ყურადღებით ვუსმენ ხოლმე აზერბაიჯანელი პოლიტიკოსების გამოსვლებს, მაგრამ არავისგან მსმენია, რომ საქართველოზე მეგობარი სახელმწიფო ან სტრატეგიული პარტნიორი ეთქვათ.

ვერ გავიგე, რატომ გვყავს ასეთი ჩმორი ხელისუფლება? ქართველებისა და საქართველოს მიმართ დაუნდობლები რომ არიან, სხვებს რატომ ვერ სცემენ საკადრის პასუხს?

გარდა იმისა, რომ ქვეყნის მტრების წინააღმდეგ უსუსურობას იჩენენ, მოღალატეებიც არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ შეიძლება, უპასუხოდ დატოვო ის, რაც გარეჯთან დაკავშირებით ხდება.

უკვე მიკვირს, რატომ გვყავს უსაფრთხოების სამსახურები. აზერბაიჯანმა ჩიჩხიტურის მიმართულებით რომ გზის გაყვანა დაიწყო, ამის შესახებ მათ ბერებმა აცნობეს. უსაფრთხოების სამსახური ამ ინფორმაციას თავისი წყაროებით ვერ უნდა იგებდეს?

– უსაფრთხოების სამსახურს დავით გარეჯისთვის არ სცალია – ჩაწყობილ თამაშებს დასდევენ და სამშობლოს გაყიდვა არავის ადარდებს.

– სდიონ ამ ჩაწყობილ თამაშებსაც, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოებასაც მიხედონ. მათ ამ მშენებლობის შესახებ ჯერ კიდევ მანამდე უნდა გაეგოთ, სანამ ტრაქტორი დაიწყებდა მუშაობას.

იქ სასულიერო პირები რომ არ იყვნენ, დავით გარეჯი და მიმდებარე ტერიტორია მთლიანად იქნებოდა დაკარგული.

მინდა, მივმართო ხალხს, გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ამ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს დავით გარეჯის გაყიდვა.

არც იმ კომისიის დიდი იმედი მაქვს, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს. მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ კომისიაში ისეთი ხალხი იყო შეყვანილი, ვინც საქართველოს სასარგებლოდ არ მოქმედებდა. ახლა ვითომ განაახლეს ამ კომისიის შემადგენლობა, მაგრამ ჩვენთვის სახარბიელო ხალხი არც ახლა მოხვდა იქ.

ხელისუფლება ამტკიცებს, რომ დავით გარეჯის პრობლემა ჩვენ სასარგებლოდ გადაწყდება. თუ ეს ასეა, მაშინ ბერთუბანიც საქართველოს იურისდიქციაში უნდა მოექცეს და ჩიჩხიტურის კოშკიც.

ამ ეტაპზე, მართალია, ბერთუბანს ვერ ვაკონტროლებთ, მაგრამ ოფიციალურად ის აზერბაიჯანის შემადგენლობაში არ შედის.

რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანელებმა ბერთუბანიდან ამოთხარეს ქართველი წმინდანების საფლავები. ამაზე საქართველოს საპატრიარქო დუმს, რაც ჩემში დიდ გაოცებას იწვევს – წმინდანების საფლავები ამოთხარეს და პროტესტი არ უნდა გამოთქვან?

პირდაპირ მოვუწოდებ ჯაღმაიძეს, ამოიღოს ხმა. საპატრიარქოს მიერ დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობისგან

„რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანელებმა ბერთუბანიდან ამოთხარეს ქართველი წმინდანების საფლავები. ამაზე საქართველოს საპატრიარქო დუმს, რაც ჩემში დიდ გაოცებას იწვევს – წმინდანების საფლავები ამოთხარეს და პროტესტი არ უნდა გამოთქვან? პირდაპირ მოვუწოდებ ჯაღმაიძეს, ამოიღოს ხმა. საპატრიარქოს მიერ დაგეგმილ კონცერტში მონაწილეობისგან ვიღაცებმა რომ თავი შეიკავეს და იმათ გადაეფარა, წმინდანების საფლავების გათხრაზეც თქვას რამე“

ვიღაცებმა რომ თავი შეიკავეს და იმათ გადაეფარა, წმინდანების საფლავების გათხრაზეც თქვას რამე.

საპატრიარქოს დუმილიც გაუგებარია. ეს საფლავები რამდენიმე წლის წინ ამოთხარეს, ის მაინც გაარკვიონ, სად წაიღეს წმინდანთა ძვლები.

მაგათი ნათესავების ძვლები რომ ამოყარონ საფლავებიდან, ხომ აიკლებენ მთელ ქვეყანას. წმინდანების შეურაცხყოფაზე კი ყველა დუმს. ხმას ამოიღებ და ეგრევე დავით ზალკალიანი გამოვარდება მოწოდებით – ნუ ძაბავთ სიტუაციასო.

ჩუმად ვართ და ტრაქტორები გამოიყვანეს. ცოტა ხანში დავით გარეჯის მიმართულებით ტანკებს შეიყვანენ. ზალკალიანი და მამუკა ბახტაძე ამის პასუხად იტყვიან, ჩვენი მეგობარი სახელმწიფოო.

აზერბაიჯანის არაოფიციალური საგარეო საქმეთა მინისტრი ზალკალიანი 23 მაისსაც გამოვარდა და კიდევ ერთხელ გვითხრა, ნუ ძაბავთ სიტუაციას, ჯერ დასადგენია, ჩიჩხიტურის კოშკთან გაჰყავთ თუ არა სამანქანე გზაო.

ამაზე მეტი დამამტკიცებელი საბუთი რაღა გინდათ, რომ მოღალატეები გვყვანან ხელისუფლებაში? ეს სამანქანე გზა ჩიჩხიტურამდე რომც არ მიდიოდეს, ამით არაფერი იცვლება.

– რატომ არ იცვლება?

– იმიტომ, რომ ეგ ტერიტორია არის სადავო და სანამ საზღვრები არ დადგინდება, აზერბაიჯანს იქ არაფრის გაკეთების უფლება არა აქვს.

მივმართავ პოლიტიკურ პარტიებსაც, დავით გარეჯი მათ არ ეხებათ? თუ მარტო ის არის მაგათი მიზანი, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსება მიიღონ. სანამ დროა, ამოიღონ ხმა ამ თემაზე. ლეიბორისტების და კიდევ რამდენიმე პარტიის გარდა, დავით გარეჯი არავის ადარდებს.

მაქვს საკმაოდ სერიოზული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგივე სცენარი მზადდება ქვემო ქართლისთვის. აქ სპეციალურად აშენებენ ყველა სოფელში რამდენიმე მეჩეთს, მერე იტყვიან ეს მეჩეთები ალბანური ძეგლებია, ხოლო ქვემო ქართლი ბორჩალოა, ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობა.

სანამ დროა, ხელისუფლებამ დროულად უნდა დაიწყოს ამ რეგიონში სვანების ჩასახლება. კომუნისტები თუ ფიქრობდნენ იმაზე, რომ საქართველოს არც ერთ რეგიონში ქართველები უმცირესობაში არ უნდა ყოფილიყვნენ, ეს იდიოტები რატომ ვერ ხვდებიან ამას.

არასდროს არ ვიტყვი იმას, რომ საქართველოდან არაქართველები უნდა გავყაროთ, მაგრამ ქართველების უმრავლესობაში ყოფნა აუცილებელია.

კომუნისტები ბევრად უფრო ეროვნულები იყვნენ, ვიდრე ესენი არიან. თავის დროზე ბათუმში ქართველები უმცირესობაში იყვნენ. ვასილ მჟავანაძემ ამ ბალანსის შესაცვლელად მაღალმთიანი აჭარიდან ჩამოასახლა ქართველები ბათუმში. იგივე მოხდა მოგვიანებით ქვემო ქართლში. იქაც კომუნისტებმა დაიწყეს სვანების ჩამოსახლება.

აზერბაიჯანულ მედიაში ამაზე ერთი ამბავია ატეხილი, გაიძახიან, ქვემო ქართლში სვანებს ნუ გვისახლებთო.

– მაგათ ვინ ეკითხება, საქართველოს ტერიტორიაზე ვის და სად ჩავასახლებთ?

– თურმე ეკითხებათ.

თურმე ბაქოს უნდა ვკითხოთ, სად ჩავასახლებთ სვანებს. სვანებზე იმიტომ მაქვს აქცენტი, რომ ამ რეგიონის წამალი სწორედ სვანები არიან. სვანები მებრძოლი ხალხია და ისინი ღირსეულად დაიცავენ ქართულ მიწას.

თეა წულუკიანი რუსთავს რომ ეცა და იქ აკეთებს ციხეს, ადგნენ და გარდაბანში გააკეთონ ეს დაწესებულება.

კარგი იქნება, თუ ქვემო ქართლში გავაკეთებთ დევნილთა დასახლებებს. სანამ გვიანი არაა, უნდა მივხედოთ ამ რეგიონს.

როგორც ყველაფერი არ იჭმევა, ასევე არ ითქმება ყველაფერი, ამიტომ ბევრ რამეს ვერ ვიტყვი, მაგრამ ძალიან მძიმედ არის საქმე.

არაერთ ინტერვიუში მაქვს ნათქვამი, რომ საინგილოში ქართველებს მონებივით ექცევიან. რაღაც თუ არ შევცვალეთ, ქვემო ქართლშიც იგივე ბედი ელით ქართველებს. ხმას თუ არ ამოვიღებთ, ეს ხელისუფლება ამ რეგიონსაც დაგვაკარგვინებს.

მივმართავ ხელისუფლებასა და საპატრიარქოს, თუკი ბერთუბანი და ჩიჩხიტურის კოშკი საქართველოს შემადგენლობაში არ მოექცევა, ეს იქნება ქვეყნის ღალატი. ქვეყნის მოღალატეებს კიდევ მიწაში არ აჩერებენ. ამის დასტურია ფილიპე მახარაძე და სერგო ორჯონიკიძეც.

ვერც ესენი გაჩერდებიან ქართულ მიწაში, თუ დავით გარეჯი საქართველოს არ დაუბრუნდება.

ახლა ბევრს გველაპარაკებიან იმაზე, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ვერ მოგვარდა. მაშინ იმიტომ ვერ მოგვარდა, რომ არ უნდოდათ ამის მოგვარება.

ამ თემაზე მე ვესაუბრე ჯუმბერ პატიაშვილს. მისი თქმით, ეს საკითხი თითქმის მოგვარებული იყო, დავით გარეჯის კომპლექსი სრულად უბრუნდებოდა საქართველოს, მაგრამ საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქმე ბოლომდე ვეღარ მივიდა.

მოლაპარაკებების წარმოება ახლანდელ ხელისუფლებასაც შეუძლია, სოკართან ხომ კარგად ახერხებენ საერთო ენის გამონახვას და კარგად ინაწილებენ წილებს, ან იქნებ იმიტომ არ ლაპარაკობენ ტერიტორიებზე, რომ ამაში ფული არ იშოვება. ამათ კი ფულის მეტი არაფერი აინტერესებთ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„თბილისელების 70% ამბობს, რომ არც ქოცი უნდა და არც ნაცი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს **გიორგი ახვლედიანი** პასუხობს.

– გიორგი, როგორ აფასებთ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებულ სიტუაციას?

– ის, რაც ხდებოდა ზუგდიდში, „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ინტერესში შედიოდა. მათ ყველაფერი გააკეთეს სიტუაციის მაქსიმალურად დაძაბვისთვის და ყველანაირად უწყობდნენ ხელს, რომ პროცესი გადასულიყო ასეთ დაპირისპირებაში, ყოველდღიურ ცემა-ტყეპაში, ყოველდღიურ კონფრონტაციაში.

– რისთვის იყო ეს საჭირო?

– ნაციონალური მოძრაობისათვის ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ ვინც კი ამომრჩეველი ჰყავთ, ყველას მობილიზება მომხდარიყო, არავინ სახლში არ დარჩენილიყო.

„ქართული ოცნებისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ყველას ხმა, ვისაც არ უნდოდა ნაციონალური მოძრაობა, წასულიყო „ქართული ოცნების“ ყულაბაში. ამისთვის მათ შესანიშნავად გამოიყენეს ნაცმოძრაობა, როგორც საფრთხობელა.

ნაციონალური მოძრაობა რომ არ იყოს ქართულ პოლიტიკაში და იყოს იქ, სადაც საჭიროა, „ქართული ოცნება“ დიდი ხანია, ხელისუფლებაში აღარ იქნებოდა. მას ერთადერთი, რაც ასაზრდოებს, არის ნაციონალურ მოძრაობასთან დაპირისპირება და მისი საფრთხობელად გამოყენება.

– ისევ მუშაობს ეს თემა?

– კი მუშაობს და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს თემა არ იმუშავებს, სანამ ორი პოლიტიკური პარტიის კონფრონტაციას ვხედავთ წინასაარჩევნოდ, ძალიან ცდება.

– როდესაც სააკაშვილი გამოვიდა და განაცხადა, შავგულიძეს ვუჭერ მხარსო, გაჩნდა ვერსიები, რომ სააკაშვილმა ამით ისევ „ოცნება“ ახეირა. ამაზე რას იტყვით? ეს ყველაფერი მიზანმიმართულად ხომ არ ხდება?

– რა თქმა უნდა! დღეს საზოგადოება ერთიან კონტექსტში აღიქვამს როგორც ნაციონალურ მოძრაობას, ისე ბოკერიას ფრთას. მიშა და ბოკერია რამ გაყო?! თუმცა „ქართული ოცნებისთვის“ ეს ასე არ არის.

– აბა, როგორ არის?

– „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა „ევროპული საქართველო“ და ეს გააკეთა იმისთვის, რომ ნაცმოძრაობა შეესუსტებინა და ორ ფლანგად გადაენაწილებინა. „ქართული ოცნებისთვის“ მათდამი დამოკიდებულება განსხვავებულია.

– რა თვალსაზრისით?

– ბოკერია „ქართული ოცნების“ ფრთის ქვეშ არის. ამიტომაც ბოკერიას მიერ წაყენებული შავგულიძის კანდიდატურა არ იყო ისეთი სერიოზული პრობლემა, როგორც ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი. ამიტომაც ყველამ დავინახეთ, რომ მთაწმინდაზე არავითარ თავპირისმტვრევას ადგილი არ ჰქონია. პრაქტიკულად, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაც კი არ შეიმჩნეოდა, ისე მშვიდად, წყნარად და თავის ჭკუაზე იყო ყველაფერი მიშვებული, იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებას“ შავგულიძის არ ეშინოდა, პირიქით, უნდოდა კიდეც, რომ მეორე ტური ჰქონოდა ბოკერიას პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატთან.

– რატომ?

– „ქართულ ოცნებას“ უნდა, რომ ნაცმოძრაობის ბოკერიას ფრთა გააძლიეროს და მეორე ფრთა მესამე პლანზე გადაიყვანოს. ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებს, იმიტომ, რომ გაზომბებული ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი ჯერჯერობით ისევ სააკაშვილზე ყრის დორბლებს. ამიტომ ეს პროექტი თვითონ ბიძინა ივანიშვილსაც არ გამოსდის სრული მასშტაბით. ერთადერთი, „ქართულ ოცნებას“ ვინც კონკურენციას უწევს, არის „ევროპული საქართველო“.

– კონკურენციას უწევს თუ თავად „ოცნებას“ უნდა, რომ ასე იყოს?

– სწორედ ამის წარმოჩენა უნდოდათ ამ არჩევნებზე, ამიტომ მიუშვეს პროცესები მთაწმინდაზე. მეორე ტური როდესაც დადგება, ბუნებრივია, ჩაერთვება ადმინისტრაციული რესურსი და ეს პრობლემაც მარტივად მოიხსნება, უბრალოდ, ახლა ამის დემონსტრირება იყო საჭირო.

„ქართულმა ოცნებამ“ და ნაცმოძრაობამ ზუგდიდში ერთმანეთს გადაუსწრეს. ერთი კვირის განმავლობაში „ქართული ოცნება“ ჩადიოდა არაადეკვატურ და დანაშაულებრივ ქმედებებს, არჩევნების დღეს კი გადაჯოკრა თვითონ ნაცმოძრაობამ ყველაფერი. ისეთები ჩაიდინეს, რომ არ დაგესიზმრება ადამიანს. მთავარი არის ის, რომ ჩვენს ქვეყანაში არჩევნებზე აღარ დადის ამომრჩეველი და ეს არის ფაქტი.

– რა იქნება 2020-სთვის?

– საზოგადოება ითხოვს მესამე ძალას და ეს მოთხოვნა პირველად დაფიქსირდა საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც არჩევნებზე არ მივიდა 600 ათასი ამომრჩეველი. ამ ხალხს აღარც „ქართული ოცნება“ უნდა და აღარც ნაციონალური მოძრაობა.

შუალედურმა არჩევნებმაც ეს შესანიშნავად წარმოაჩინა. ზუგდიდისთვის 46% არის კატასტროფულად ცოტა, მთაწმინდაზე 34% არის კატასტროფა! ეს ნიშნავს, რომ თითქმის 70% თბილისელებისა ამბობს, რომ აღარ უნდა აღარც ნაცი, აღარც ქოცი! ხალხს სჭირდება ამ ორივეს ალტერნატივა.

ეს არის დაკვეთა საზოგადოებისა. თუ პოლიტიკური ძალები ამ დაკვეთას ვერ შეასრულებენ, მაშინ ეს ქართული პოლიტიკური სპექტრი ყველაფრის ღირსი იქნება!

„ერთი მაჟორიტარული ოლქის წაგება ივანიშვილის პირამიდას მთლიანად ჩამოშლის“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, როგორ შეაფასებთ განვლილ არჩევნებს? მთაწმინდაზე მეორე ტური გახდა საჭირო. ეს რა სურათს გვაძლევს?

– მთაწმინდაზე მეორე ტურის ალბათობა ძალიან მაღალი იყო. ეს იყო პროგნოზირებადი. ასევე გასაგები იყო, რომ ერთმანეთს ხელისუფლებისა და წამყვანი ოპოზიციის კანდიდატი დაუპირისპირდებოდნენ.

მთაწმინდაზე მეორე ტურმა დაადასტურა, რომ ხელისუფლება ყოვლისშემძლე არ არის. 40%-იანი ნიშნული ხელისუფლების ზედა ჭერია. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას მოგება და დამატებითი ხმების გამოგლეჯვა არ შეუძლია, მაგრამ მიღებული შედეგი უჩვენებს, რომ ხელისუფლების რეიტინგი არის ის, რა ხმებიც ლადო კახაძემ პირველ ტურში მიიღო.

რა თქმა უნდა, არც ლადო კახაძისა და არც შალვა შავგულიძის მიერ მიღებული ხმები არ არის მხოლოდ მათი პერსონალური ხმები. კახაძე ბურჭულაძის პარტიიდან იყრიდა მთაწმინდაზე კენჭს და მხოლოდ 600 ხმა აიღო. ამდენად, ის სახელისუფლებო კანდიდატი რომ არ იყოს, არც იქნებოდა კონკურენტუნარიანი.

შალვა შავგულიძემ, რომელიც გაცილებით კვალიფიციურია, პარლამენტში მუშაობის გამოცდილება აქვს, წინა არჩევნებზე საბურთალოზე ხმების ის რაოდენობა მიიღო, რაც მისმა პარტიამ. ამიტომ მხოლოდ თავისუფალი დემოკრატების კანდიდატი რომ ყოფილიყო, არც შალვას შედეგი იქნებოდა მაღალი. „ევროპული საქართველოს“, ნაციონალების ღია მხარდაჭერით, რესპუბლიკელებისა და სხვა ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერით სრულიად გასაგებია, რომ შალვა შავგულიძე მთაწმინდის ამომრჩევლის მიერ აღქმულია ოპოზიციის მთავარ კანდიდატად. ამიტომ დადებული შედეგი არის ხელისუფლებისა და ოპოზიციის ძალთა თანაფარდობა.

რაც შეეხება მეორე ტურს, ამ შემთხვევაში „გირჩის“ კანდიდატის საბოს, ელისაშვილის კანდიდატის ასათიანისა და დამოუკიდებელი კანდიდატის გრიგოლ გეგელიას ხმები ერთად დაახლოებით 15 პროცენტია. ისინი ჯერ არ ჩქარობენ მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას.

– მათთან კითხვები გაქვთ?

– მე არ მაქვს კითხვები და ეჭვები, რომ ისინი ხელისუფლების თამაშს თამაშობენ. არა, რა თქმა უნდა! მე ამას ვაფასებ, მომიტევონ, პოლიტიკურ უმწიფრობად. პოლიტიკაში ელემენტარული წესია, არჩევნების მეორე ტურში მხარს უჭერ იმას, ვისთანაც ნაკლები პრობლემა გაქვს. აბა, მე რომ მკითხოთ, ისეთი მართალი, როგორიც იყვნენ რესპუბლიკელები ამდენი ათეული წლის განმავლობაში, არავინ ყოფილა, მაგრამ ჩვენც ვეძებთ, ვისთან შეგვიძლია თანამშრომლობა, მხარდაჭერა და ა.შ.



არ მგონია, რომ მათ მეორე ტურში გასვლის ილუზია ჰქონდათ. თუ ასეთი ილუზია ჰქონდათ, მაშინ პოლიტიკური უმწიფრობის ხარისხი კიდევ უფრო მაღალი ყოფილა, თუმცა, არ მგონია, ამიტომ გაბუტვა და სახლში დაჯდომა არასწორია. ეს ახალგაზრდა პოლიტიკოსები განათლებულები არიან, კარგები არიან. ამიტომ მე არ მემეტება ისინი საკუთარ დებიუტშივე უმწიფრად მოქცევისთვის. ჯერ კიდევ დროა. საბაბი მოიძებნება, თუ რატომ უნდა დაუჭირონ მხარი ხელისუფლების წინააღმდეგ არა კონკრეტულად შალვა შავგულიძეს, არამედ ხელისუფლების დამარცხების ინსტრუმენტ შალვა შავგულიძეს.

ანტიმიშისტებმა ისწავლეს მიშისტებთან, ნაციონალებთან, „ევროპულ საქართველოსთან“ და სხვებთან ერთად საერთო კანდიდატისთვის ზრუნვა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ბიძინა ივანიშვილმა იმდენად გაიკოტრა თავი, იმდენად გვიანდელი ხნის ბრეჟნევსა და შევარდნაძეს დაემსგავსა, რომ განვითარება არ არის, ჭაობია, სტაგნაციაა. ამ სტაგნაციასთან დასაპირისპირებლად საჭიროა ასეთი მოქმედება. საპრეზიდენტო არჩევნებზეც სწორად იყო შერჩეული გრიგოლ ვაშაძე, არაპარტიული იერარქიის წევრი და ასევე სწორად არის შერჩეული მთაწმინდაზე არა ნაციონალური წარმომავლობის კანდიდატი შალვა შავგულიძე.

„ჩვენზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, შევძლებთ თუ არა ამომრჩევლის დარწმუნებას, რომ ეს არ არის ერთი მანდატისთვის ბრძოლა, რომ ეს არის მომავალი საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში იმის დადასტურება, რომ მაჟორიტარული ოლქების მოგება შესაძლებელია როგორც თბილისში, ისე რაიონებში“

– საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების განმეორება რამდენად არის მოსალოდნელი მთაწმინდაზე?

– ხელისუფლების მხრიდან მცდელობა იქნება, სრული მობილიზაცია იქნება. მე ვვარაუდობ, რომ მეორე ტურში უფრო მეტს ხმას მიიღებენ, ვიდრე პირველში, მაგრამ მთაწმინდის ამომრჩევლის გადასაწყვეტია. მთაწმინდის ამომრჩევლის დაახლოებით 60% ანტისახელისუფლებო ამომრჩეველია, მაგრამ ერთი ნაწილი აქტიურად ანტია, მეორე – პასიურია. ამიტომ, მთაწმინდელი ამომრჩეველი ჩათვლის თუ არა საჭიროდ, ქუდზე კაცი გამოვიდეს, ამაზე ბევრი იქნება დამოკიდებული. ასევე, შეძლებს თუ არა ივანიშვილი ამ განწყობების საწინააღმდეგოდ მოტრიალებას, ერთი მხრივ, თავისი რესურსებით და, მეორე მხრივ, ოპოზიციური ამომრჩევლის ინდიფერენტულობით, ამაზეც ბევრია დამოკიდებული.

ჩვენზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. შევძლებთ თუ არა ამომრჩევლის დარწმუნებას, რომ ეს არ არის ერთი მანდატისთვის ბრძოლა, რომ ეს არის მომავალი საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში იმის დადასტურება, რომ მაჟორიტარული ოლქების მოგება შესაძლებელია როგორც თბილისში, ისე რაიონებში.

ამას გაურბის ივანიშვილი. ერთი ოლქის წაგება მისი სახელისუფლებო პირამიდიდან ისეთი ლოდის გამოცლაა, რომელიც მთლიანად ჩამოშლის ამ პირამიდას. ამიტომ ეშინია. თუმცა, რამდენიც არ უნდა გაწელოს ეს პროცესი, ახლაც რომ გამოუვიდეს მთაწმინდაზე, იმხელა დანაკარგი აქვს, რომ ყოველი დარტყმა, ყოველი რაუნდი მისთვის ნოკდაუნია. შემდეგ საპარლამენტო არჩევნებს დიდი ალბათობით წააგებს. როგორც კი წააგებს, პარტია „ქართული ოცნება“ დაინგრევა.

– საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით პოზიციები არაერთგვაროვანია როგორც ნაციონალურ მოძრაობაში, ისე ოპოზიციაში. თქვენი პოზიცია როგორია?

– ნაციონალურ მოძრაობაში პოზიციები უფრო დააბალანსეს. სასწრაფო აქციებისა და ზუგდიდიდან თბილისისკენ მარშის იდეები აღარ განიხილება მათი ლიდერების ბოლო განცხადებებში. აქციები იქნება არჩევნების როგორც შემადგენელი ნაწილი და მეტი არაფერი.

მე არ მიკვირს აქციები, მაგრამ არ მიყვარს ფსევდოაქციები. რესპუბლიკელები ამ საქმეში ავანგარდში ვიყავით, მაგრამ მიტინგებით თამაშობანა არ არის ჩვენი საქმე. ხელისუფლების შესაცვლელად მთავარი ხაზი არჩევნები არის. არჩევნების გარდა სხვა გზა არ არის ხელისუფლების შესაცვლელად და არც უნდა იყოს.

არჩევნების კონტექსტში აქციებსაც ექნება ფასი.

გიორგი კეპულაძე: „ოცნების“ პირობებში 100 დოლარი 110 ლარით გაძვირდა“

„ლარის გაუფასურების გამო იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასები მოიმატებს“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში ლარის კურსი ყოველწლიურად რომ უფასურდება, ამას უკვე მივეჩვიეთ, მაგრამ ეროვნული ვალუტა გაუფასურებას შემოდგომიდან იწყებდა ხოლმე, ხოლო გაზაფხულიდან მყარდებოდა. ასეთი იყო გასული წლების სტატისტიკური მაჩვენებელი, თუმცა ესეც შეიცვალა და ბოლო პერიოდში ლარის კურსი მკვეთრად გაუარესდა. სავალუტო ჯიხურებში 1 დოლარის ყიდვა თითქმის უკვე 2.8-ს აღწევს.

რა გახდა ლარის გაუფასურების მიზეზი, ვისი პასუხისმგებლობაა არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა და იქონიებს თუ არა ეროვნული ვალუტა გავლენას სამომხმარებლო კალათაზეც? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ გამგეობის თავმჯდომარე **გიორგი კეპულაძე** საუბრობს.

– ბოლო დღეებში ლარის კურსის მხრივ განსაკუთრებულად დაიძაბა ვითარება. გვახსოვს წინა წლების ანალოგიური პერიოდი, როცა, პირიქით, გამყარებით გამოირჩეოდა ხოლმე. თქვენ რით ხსნით წლევანდელ გაუფასურებას?

– მცურავი გაცვლითი კურსის გაუფასურების მიზეზები ბევრი შეიძლება იყოს. როგორც წესი, მოკლევადიანი გაუფასურებები ახასიათებს ხოლმე, თუმცა ვეთანხმები თქვენი შეკითხვის პათოსს, მიჩვეული ვართ, რომ ზაფხულისთვის მყარდებოდა ლარი.

ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს თურქული ლირის გაუფასურება, რამაც მოლოდინი გაჩინა, რომ ლარიც გაუფასურდებოდა, თუმცა პრობლემა იმაში უნდა ვეძებოთ, რატომ ვართ ასე ზედმეტად დამოკიდებული ჩვენი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკასა და მათი ვალუტის გაუფასურებაზე. ეს იმის ბრალია, რომ საქართველოს ეკონომიკა არ არის საკმარისად დივერსიფიცირებული და საგარეო თუ რეგიონული შოკები გავლენას ახდენს ჩვენს ეკონომიკაზე.

თურქეთსა და ამერიკას შორის დაიძაბა ურთიერთობა, რამაც თავისთავად ეკონომიკაზე იმ წუთშივე ასახვა ჰპოვა და თურქული ლირა გაუფასურდა. თუმცა, თურქული ლირის გაუფასურება შეიძლება არ იყოს იმდენად პრობლემა თურქეთისთვის, მაგრამ ჩვენთვის გახდა პრობლემა, რადგან საქართველო თურქეთზე მეტად არის დამოკიდებული იმპორტზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ 1 და 2 სავაჭრო პარტნიორზე არ ვიყოთ დამოკიდებული. მით უმეტეს რუსეთზე, რომელიც მთლიანად პოლიტიკური ბაზარია და უნდა ვეცადოთ, რომ საქართველოს ეკონომიკა თავისი საექსპორტო და საიმპორტო ბაზრებით დივერსიფიცირებული იყოს და რაც შეიძლება მეტ ქვეყანასთან გვქონდეს სავაჭრო პარტნიორობა.

– გამოდის, რომ პრობლემა მდგომარეობს საქართველოს მიერ განხორციელებულ არასწორ პოლიტიკაში?

– პრობლემა ღრმაა, თორემ ასე მცირე ცვლილებებით ვალუტის გაუფასურება ასე მტკივნეულად არ უნდა აღიქმებოდეს. ერთია ის, რომ ჩვენ გვაქვს ფსიქოლოგიური დამოკიდებულება გაუფასურების მიმართ, იმიტომ, რომ იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ვართ და საიმპორტო პროდუქცია, როგორც წესი, ძვირდება. მეორეა ის, რომ ეს დამოკიდებულება, მათ შორის ფსიქოლოგიურიც, შემდეგ უარყოფითად აისახება ჩვენს ეკონომიკაზე.

– სამომხმარებლო კალათაც გაიზრდება და პროდუქტზე ფასები მოიმატებს?

– ზოგადად ვალუტის გაუფასურება უარყოფით გავლენას ახდენს ხოლმე მთლიანად ეკონომიკაზე, მათ შორის ფასებზეც. ეს მოჰყვება ხოლმე, თუმცა ეს არ არის პირდაპირ კორელაციაში. პირდაპირი დამოკიდებულება ფასებსა და ვალუტის კურსს შორის არ არის, საბედნიეროდ. ინფლაცია გაცილებით ნაკლებია, ვიდრე გაუფასურება, თუმცა რიგ პროდუქტებზე შესაძლოა გაიზარდოს ფასი, ძირითადად იმპორტირებულ პროდუქციაზე, როგორიც არის ნავთობი, ბუნებრივი აირი, მედიკამენტები და სხვადასხვა სახის სურსათი.

სურსათი ჩვენს სამომხმარებლო კალათაში დაახლოებით 30%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ მთლიანობაში ინფლაციური მოლოდინები გაჩნდება, თუმცა, იმედი ვიქონიოთ, რომ გაუფასურების პროცესი დიდხანს არ გაგრძელდება.

– საკმაოდ არამყარი პოლიტიკური ვითარება გვაქვს და ეს გარკვეულწილად ახდენს ხოლმე გავლენას ეროვნულ ვალუტაზე. ამანაც, თუნდაც არჩევნებმაც ხომ არ იქონია გავლენა?

– არა მგონია, რომ შუალედურ არჩევნებს ჰქონდა განსაკუთრებული ზეგავლენა ვალუტის გაუფასურებაზე, რადგან პროცესი უკვე დაწყებული იყო და ალბათ ეს გამოწვეულია მოლოდინით და ზოგადად რეგიონის ეკონომიკის მოლოდინებს უკავშირდება. გაჟღერდა, რომ შესაძლოა ერდოღანი და ტრამპი შეხვდნენ ერთმანეთს, რამდენ ხანსაც გაგრძელდება ეს დაძაბულობა და სანამ ის არ ამოიწურება, მანამ იქნება ეს ვითარება. რისკებს ავტომატურად მოჰყვება ეს რყევები, ვინაიდან, მოგეხსენებათ, რომ ეკონომიკა და პოლიტიკა მნიშვნელოვნად არის გადაჯაჭვული ერთმანეთზე, ერთი განსაზღვრავს მეორეს და პირიქით. შესაბამისად, უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენ არ ვიყოთ დამოკიდებული სხვა ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკურ ვითარებაზე, ამიტომ გვჭირდება დივერსიფიცირება.

– როგორც წესი, ვალუტის კურსზე გავლენას ახდენს ხოლმე ტურისტების შემოდინებაც. წელს ამან გავლენა ვეღარ მოახდინა?

– ინვესტიციებზე თუ საუბრობთ, ამისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რატომ შეიძლება ჩადოს ინვესტორმა ქვეყანაში ფული. ეს არის საგადასახადო სისტემა, ის, რომ კორუფცია არ არის, ასევე ის, რომ ბიზნესის კეთების მხრივ საქართველო საინტერესო ქვეყანაა და შესაძლებელია, რომ ინვესტორმა უფრო მაღალი პროცენტით მიიღოს მოგება, ვიდრე უფრო განვითარებულ ქვეყანაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის სასამართლოსთან დაკავშირებით. ბევრი ბიზნესმენისგან გვესმის, მათ შორის ბიზნესის ასოციაციაშიც კეთდება განცხადებები, რომ სასამართლო ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოზე და იმაზე, რომ საქართველოში არ არის განცდა დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობისა.

ეს არა მხოლოდ პოლიტიკურად ანგრევს ქვეყანას და ადამიანის უფლებების მხრივ ქმნის პრობლემებს, არამედ ეკონომიკურადაც. როდესაც ინვესტორი უყურებს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება მიკერძოებულად, როცა ჩნდება აღქმა, რომ საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო არ არის, ეს პრობლემებს უქმნის ინვესტიციებს, თორემ, საგადასახადო კუთხით, ფაქტობრივად, ოფშორის ზონის გადასახადები გვაქვს, იმდენად დაბალი გადასახადებია, რაც ძალიან კარგია. კარგია, რომ საქართველოში ბიზნესის დაწყება მარტივია, მაგრამ ცუდია ის, რაც ცუდია და ამაზე აუცილებლად უნდა ვისაუბროთ.

– ანუ იმ გახმაურებულმა სკანდალებმა, რომლებიც ბიზნესის მიმართულებით გვქონდა, გავლენა იქონია?

– რა თქმა უნდა. წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი, რომელსაც აქვს ფული და უნდა ქვეყანაში ფულის ჩადება, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს გარანტიები, რომ მისი საკუთრება იქნება დაცული, ამ ვითარებაში ვის გაუჩნდება სურვილი, რომ ფული ჩადოს?! ამიტომ არის მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი სასამართლო ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციებისთვის.

– „ოცნება“ 7 წელია ხელისუფლებაშია და ამ დროის განმავლობაში მუდმივად უფასურდება ეროვნული ვალუტა. ვისი პასუხისმგებლობაა ის, რომ არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა გვაქვს?

– ეს არის მმართველი ძალის პასუხისმგებლობა, რომლის პირობებშიც 100 დოლარი 110 ლარით გაძვირდა. ეს მოცემულობა გვაქვს 2012 წელთან შედარებით. მესმის, რომ იყო ეკონომიკური ფაქტორები, საგარეო შოკი იყო, ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე და ა. შ. თუმცა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში შესაძლებელი იყო საქართველოს დაცვა მსგავსი ეკონომიკური შოკებისგან.

ჩვენ, სამწუხაროდ, სტაბილურ რეგიონში არ ვცხოვრობთ და ეს პრობლემები და შოკები სულ იქნება. საქართველოს თუ ექნება სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, ამ შოკებს ავირიდებთ და ამ გამოწვევებს ხშირ შემთხვევაში წარმატებით დავძლევთ.

საერთაშორისო ავტორიტეტული ინსტიტუტების შეფასებით, საკმაოდ წარმატებით დავძლიეთ 2014-15 წლების რეგიონული შოკი, სწორი მონეტარული პოლიტიკით საკმაოდ კარგად გადავიტანეთ, თუმცა, საბოლოო ჯამში, ის, რომ ვალუტა მნიშვნელოვნად გაუფასურდა და 100 დოლარი 110 ლარით გაძვირდა, ნიშნავს იმას, რომ საქართველოში იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასი იზრდება.

ამ შემთხვევაში გამოსავალი მხოლოდ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, სწორი ეკონომიკური ხედვა და მიღებული გადასახადების სწორი მიმართულებით ხარჯვაა.

– რა მოლოდინი გაქვთ უახლოეს პერიოდში?

– ლარის კურსთან დაკავშირებით პროგნოზს ვერ გავაკეთებ, რადგან მცურავი გაცვლითი კურსის პროგნოზირება წარმოუდგენელია. მხოლოდ იმედს დავიტოვებ, რომ მას შემდეგ, რაც თურქეთში დასტაბილურდება სიტუაცია, ეს ავტომატურად აისახება ლარის კურსზე.

რადგან ჩვენ თვითონ ვერაფერს ვშველით, იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს სავაჭრო პარტნიორებში იქნება მშვიდობა და ეკონომიკური განვითარება, რაც დადებითად აისახება ჩვენს ეკონომიკაზეც. ვისურვებდი, რომ პარტნიორებზე არ ვიყოთ დიდად დამოკიდებული.

დღევანდელ სამყაროში როცა თავისუფალი ბაზარი გაქვს, რთულია, არ იყო დამოკიდებული სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკაზე, ეს, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, მაგრამ, რაც უფრო მეტი სავაჭრო პარტნიორი გვეყოლება, მით უფრო დაცული ვიქნებით საგარეო ეკონომიკური შოკებისგან.

შეამცირა თუ არა თანამშრომლები საბანკო რეგულაციების გამო „საქართველოს ბანკმა“?

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი არჩილ გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ ახალი საბანკო რეგულაციების ამოქმედების შემდეგ განვადებების გაცემა შემცირდა და ეს რეგულაციების გაცხადებული მიზანიც იყო.

– რეგულაციის გაცხადებული მიზანი იყო ის, რომ შეზღუდულიყო მაღალპროცენტიანი სამომხმარებლო სესხების გაცემა. თუ საჭირო იქნება, ალბათ ეროვნული ბანკი და მთავრობა გადახედავენ ამ რეგულაციებს.

რამდენით არის შემცირება, ზეპირად ვერ გეტყვით. საგანგაშო არ არის, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო რეგულაციების გამო, – აცხადებს არჩილ გაჩეჩილაძე.

კითხვაზე, შეამცირა თუ არა თანამშრომლები „საქართველოს ბანკმა“ განვადებების შემცირების გამო, არჩილ გაჩეჩილაძე აცხადებს, რომ გათავისუფლების მნიშვნელოვანი ტალღა არ ყოფილა, თუმცა ნებისმიერი მიმართულებით, სადაც ზრდა არის საჭირო, ამატებენ თანამშრომლებს, სადაც შემცირებაა, ამცირებენ.

– კონკრეტულად ამ მიზეზით ვერ ვიტყვი, რომ ვინმე გავუშვით. მაგალითად, ბევრ თანამშრომელს ვამატებთ პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით, რადგან ამ მიმართულებით გააქტიურება ხდება საბანკო სფეროში, – აცხადებს არჩილ გაჩეჩილაძე.

BMG

შესაძლებელია, პოლიეთილენის პარკებთან დაკავშირებულ ახალ რეგლამენტში ცვლილებები შევიდეს

პოლიეთილენის პარკებთან დაკავშირებულ ახალ რეგლამენტში, რომლის მიხედვითაც საქართველოს ტერიტორიაზე არაბიოდეგრადირებადი პოლიეთილენის პარკების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია იკრძალება, შესაძლოა, ცვლილებები შევიდეს. კერძოდ, სავარაუდოდ, დაშვება მოხდება წარმოება-ექსპორტის მიმართულებით.

– ჩვენ ვმუშაობთ დეტალურად პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ, ეს არ გულისხმობს გადავადებას, ანუ ჩვენ სტრატეგიულ ხაზს არ გადავუხვევთ. პირიქით, ამას მკაფიოდ ვაფიქსირებთ, რომ საქართველო გადადის მხოლოდ ბიოდეგრადირებადი პარკების გამოყენებაზე. მაგრამ საჭიროა გარკვეული ტექნიკური დაზუსტებები და ამ სტანდარტის ელემენტების აღწერა რეგლამენტში. ჩვენ, ეს სამუშაო პროცესი რაღაც პერიოდი გაგვიგრძელდება, მაგრამ მნიშვნელოვანია ასახავდეს ყველა იმ საჭირო დეტალს, რომელიც საჭიროა, რომ რეგულაციაში იყოს.

ეს არის მნიშვნელოვანი რეფორმა და ამ რეფორმას ყურადღებით უნდა განხორციელება. ვმუშაობთ კერძო სექტორთანაც. ექსპორტთან დაკავშირებით არის განწყობა, რომ ქართულ წარმოებას მივცეთ ექსპორტირების საშუალება, თუმცა პროდუქცია საქართველოში არ უნდა გაიყიდოს. საბოლოო ცვლილებების პაკეტს მალე წარვუდგენთ მთავრობას, – განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

2019 წლის პირველი აპრილიდან საქართველოში ნებისმიერი სისქის არაბიოდეგრადირებადი პოლიეთილენის პარკების წარმოება და გამოყენება აიკრძალა.

1TV

მაჭავარიანი ლარზე: „წონასწორობის წერტილი რაც დადგება, დადგება“

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი ამბობს, რომ საქართველოს ეროვნული ვალუტა რეგიონში ყველაზე მდგრადია და არსებული მაკროეკონომიკური პარამეტრები ქვეყანაში პოზიტიურ ტენდენციებზე მიანიშნებენ.

პრემიერმა საკმაოდ ამომწურავი პასუხი გასცა, მთავარი რაც ამ პასუხში იყო, ეს არის ის, რომ როდესაც ვამბობთ, რომ ფუნდამენტური ეკონომიკური მაჩვენებლები არის კარგი, ამას რასაკვირველია, ციფრებით ვასაბუთებთ, რომ ვამბობთ, რომ სამი წელია ზედიზედ მცირდება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. 2018 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი განახევრდა 2017 წელთან შედარებით. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც კურსზე მოქმედებს ხოლმე. როდესაც ვამბობთ, რომ სამი წელია ზედიზედ ექსპორტი იზრდება, აპრილის მონაცემებით, იყო 30%-იანი ზრდა, შარშან იყო 24-25% ზრდა ექსპორტში. ესეც ძალიან სერიოზული მაჩვენებელია. ამის პარალელურად არის კიდევ დედოლარიზაციის ღონისძიებები. ამ ღონისძიებებით დოლარზე დამოკიდებულება მცირდება. სრულად არ გაქრება დოლარზე დამოკიდებულება, მაგრამ ეს ყველაფერი, ეს პროცესი რომ გაგრძელდეს, ჩვენ უფრო დაცული ვიქნებით ყველა ტიპის მერყეობებისგან, მათ შორის, რა ხდება მეზობელ ქვეყნებში და მათ ვალუტებში და ასევე, რა ხდება მსოფლიოს სხვა ეკონომიკურ ტრენდებში. შესაბამისად, ეს არის სწორი გზა.

მოკლევადიანი რყევები ახასიათებს პრაქტიკულად ყველა ქვეყანას, მით უმეტეს განვითარებად ქვეყნებს. ეს ნორმალური მოვლენაა, ამ რყევებს ზოგჯერ შემდეგ აჟიოტაჟი მოყვება და შემდეგ სწორედ ამ აჟიოტაჟით კურსი უფრო მაღალ ნიშნულზე ადის, ვიდრე მისი ბუნებრივი წონასწორობის წერტილია. შემდეგ ჩამოდის და კურსი დგება იქ, სადაც უნდა დადგეს. იგივეს ველოდებით ახლაც, არანაირი განსაკუთრებული სხვა რამ არ ხდება, ეს არის მოკლევადიანი რყევა. მოკლევადიან რყევას არ აქვს მოკლევადიანი პასუხი. მოკლევადიან რყევას აქვს გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც პასუხი. ამ მიმართულებით გეუბნებით, რომ ყველაფერი მიდის სწორად. ეს აღიარებულია არამარტო ჩვენი ციფრებით, არამედ გამყარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებით.

წონასწორობის წერტილი რაც დადგება, ის დადგება... არანაირი ზედმეტი ლარი არ გასულა... მითია, როდესაც ამბობენ, რომ ან რაღაც სეზონურობაა ან რაღაცებს უკავშირებენ – ეს გამორიცხული ამბავია. ლარის გამო არანაირი ბიზნესი არ კოტრდება, მინდა დაგარწმუნოთ. ეკონომიკა იზრდება, ყველაზე დიდ მდგრადობას ანახებს რეგიონში ყველა სხვა ვალუტასთან შედარებით. თქვენ ნახეთ, ნავთობით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, ისეთი ძლიერი საექსპორტო შესაძლებლობის მქონე ქვეყანა – აზერბაიჯანში, ნახეთ რა ხდება ყაზახეთში. შესაბამისად ჩვენ გვაქვს ძალიან ჯანსაღი პარამეტრები, მოკლევადიანი რყევები ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, ამის წამალი არის დედოლარიზაცია და სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, – ლარის კურსთან დაკავშირებით ამბობს ფინანსთა მინისტრი.

BMG

ადა მარშანია: „10 ქართველი პოლიტიკოსიდან 8 შიზოფრენიკია“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პარლამენტში რუსეთთან დიალოგის დაწყებას ითხოვენ. ამ მოთხოვნით კიდევ ერთხელ გამოვიდა პატრიოტთა ალიანსი. ამ პარტიის წევრები რამდენიმეჯერ ჩავიდნენ მოსკოვში, შეხვდნენ რუს პოლიტიკოსებს, მაგრამ იქიდან ის ჩამოიტანეს, რაც აქედან ჩაიტანეს.

ამის მიუხედავად, მაინც ჯიუტად ამტკიცებენ, რომ დიალოგი უნდა შედგეს. დეპუტატი ადა მარშანია მიიჩნევს, რომ დიალოგისკენ პირველი ნაბიჯი ქართულმა მხარემ უნდა გადადგას.

რუსეთთან დიალოგის სურვილი ქართველი პოლიტიკოსების დიდ ნაწილს არა აქვს. ისინი თვლიან, რომ თუ დიალოგი ასეთი აუცილებელია, მაშინ პირველი ნაბიჯი მოსკოვმა უნდა გადადგას. ასე ფიქრობს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც.

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი ადა მარშანია მიიჩნევს, რომ რუსეთთან დიალოგი დიდი ხნის წინ უნდა დაწყებულიყო. ამტკიცებს, რომ ამ საქმეში მსოფლიოს არ უნდა დაველოდოთ.

– რუსეთთან პირდაპირი დიალოგი დიდი ხანია დასაწყებია. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილის განცხადებას, ჩვენ უნდა ველოდოთ, როდის გადადგამს პუტინი პირველ ნაბიჯს? და რომ არ გადადგას, მერე რას ვშვრებით? ვტოვებთ უპატრონოდ ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიას? ოკუპანტს არ უნდა ველაპარაკოთ? ვინ უნდა ელაპარაკოს ოკუპანტს, მსოფლიო? და ჩვენ რას ვშვრებით? ჩვენ დავკარგეთ მიწა-წყალი, ჩვენ დავკარგეთ ორი რეგიონი, ჩვენ უფრო უნდა ვიყოთ აქტიურები და ჩვენ უნდა გადავდგათ პირველი ნაბიჯი, იმ ხალხმა, ვინც ტერიტორიები დაკარგა. საუბარი უნდა შედგეს იმაზე, რაც დავკარგეთ – სოხუმზე და ცხინვალზე, – აღნიშნა ადა მარშანიამ.

მან გაიხსენა, თუ რას ამბობენ პატრიოტთა ალიანსის წევრები, როცა მოსკოვში ჩადიან, ამტკიცებს, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ დიალოგით შეიძლება. პარლამენტის წევრის აზრით, ვინც მათ იდეებს არ იზიარებს, შიზოფრენიკია.

– ჩვენ როგორც კი ჩავდივართ მოსკოვში, პირველი სიტყვები, რასაც ვამბობთ, ეს არის, რომ ჩვენ ყოველთვის ჩავალთ მოსკოვში სოხუმზე და ცხინვალზე სასაუბროდ, სოხუმისა და ცხინვალის დასაბრუნებლად. საუბრით ბრუნდება ტერიტორიები პირველ რიგში, დიალოგის დაწყებით, სხვანაირად როგორ შეგვიძლია? გვაქვს ატომური ბომბი და ვესროლოთ რუსეთს? არ გვაქვს ბომბი, რომც გვქონდეს, ვერ ვესვრით რუსეთს ბომბს.

რატომ ხართ იმაში დარწმუნებული, რომ ჩვენი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნების გამო მსოფლიო დაეტაკება რუსეთს. არ იზამს ამას, არ არის სულელი და გიჟი, როგორც ჩვენი ბევრი პოლიტიკოსი საქართველოში. მათ შიზოფრენიას მე ვუყურებ 30 წელია. 10 პოლიტიკოსიდან 8 შიზოფრენიკია საქართველოში, – განაცხადა ადა მარშანიამ.

დეპუტატს სხვა რამეში შეიძლება არ დაეთანხმო, მაგრამ 10 ქართველი პოლიტიკოსიდან რომ 8 შიზოფრენიკია, ამაზე თავად პოლიტიკოსებიც არ დავობენ.

ივანიშვილი ოპოზიციის გადაბირებას აპირებს

ხალხის გულის მოსაგებად, შესაძლოა, ფარცხალაძე დაიჭირონ

შორენა მარსაგიშვილი

მმართველი პარტია აქტიურად განიხილავს ვადამდელი არჩევნების საკითხს და ხალხის გულის მოსაგებად სერიოზული ნაბიჯების გადადგმასაც აპირებს. მმართველ პარტიაში უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ შეიძლება ამ ამბავს ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე შეეწიროს, ოღონდ არა იმიტომ, რომ ოპოზიციასა და საზოგადოებას მასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა აქვს. მიზეზი არც მისი ცნობილი სარდაფი და იქ ხალხის დამუშავებაა. მმართველ პარტიაში ამბობენ, რომ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა უკვე ბიძინა ივანიშვილის გარემოცვასაც უქმნის პრობლემებს. ამ ადამიანმა ძალიან ბევრი რამე იცის და საჭიროა მისი განეიტრალება.

კანონის სრული სიმკაცრით მისი დასჯა არ გამოვა. ყოფილ მთავარ პროკურორს ყველა მტკიცებულება საიმედო ადგილას ექნება შენახული. „ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ მას გაურიგდებიან, დროებით სადმე გაუშვებენ, ხალხს დაუჯერებენ, რომ დასაჯეს და მერე შეიძლება, მართლაც დასაჯოს. გააჩნია, რამდენად შეძლებს ის დუმილს.

მხოლოდ ფარცხალაძის ზვარაკად შეწირვით „ოცნება“ ერსა და ბერს ვერ მოიმადლიერებს. მმართველი გუნდი პარტიის სერიოზულ განახლებას აპირებს. „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო „ახალ თაობასთან“ საუბარში ამბობს, რომ ახალი სახეების შერჩევაში პირადად მიიღებს მონაწილეობას ბიძინა ივანიშვილი. შესარჩევ კონკურსში „ოცნების“ ლიდერის შემდეგ მთავარი სიტყვა შს მინისტრ გიორგი გახარიას ეთქმის.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ეს ახალი სახეები მთლად ახლები არ იქნებიან. საუბარია „ოცნებაში“ არმყოფ პერსონებზე, რომლებსაც საზოგადოება დიდ პატივს სცემს. მათთან მოლაპარაკებებს პირადად ივანიშვილი აპირებს.

პარტიის განახლების პარალელურად აქტიურად მიდის მუშაობა სატელიტური პარტიების შექმნაზე, რომლებიც, შესაძლოა, ივანიშვილს მომავალ პარლამენტში კოალიციის შესაქმნელად დასჭირდეს.

ივანიშვილის სატელიტად მოიაზრებოდა „დაიცავი საქართველოც“, თუმცა მთავარ მეოცნებეს მასთან მართლა უთანხმოება აქვს. საქართველოს დამცველებს ისეთი ხალხი გამოაკლდა, რომლებიც პირდაპირ ივანიშვილთან არიან კავშირში.

საუბარია „ოცნებიდან“ წამოსულ პოლიტიკოსებზე. ისინი, მართალია, „ოცნებას“ მიწაში დებენ, მაგრამ მის დამაარსებელზე აუგს ვერ ათქმევინებ.

„ოცნებასთან“ დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ამ ტიპის პოლიტიკოსები შეიძლება გიორგი კვირიკაშვილის პარტიაში ვიხილოთ. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ყოფილი პრემიერი პარტიის შექმნას აპირებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ პარტიაში ვიხილავთ ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძეს, ზვიად კვაჭანტირაძეს, ლევან გოგიჩაიშვილს. არაა გამორიცხული, მათთან ერთად აღმოჩნდეს ბიძინა გეგიძეც.

იყო საუბრები იმაზეც, რომ კვირიკაშვილის პარტიაში ვიხილავდით დავით ჭიჭინაძესაც, რომელიც პირველი დაუპირისპირდა „ოცნების“ საპარლამენტო გუნდს. მათ შორის დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ყოფილი პრემიერი იყო. ჭიჭინაძე აცხადებდა, რომ ირაკლი კობახიძე და მისი გუნდი კვირიკაშვილს აიგნორებდნენ.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ის ყოფილი პრემიერის პარტიაში არ იქნება. მან გარკვევით განაცხადა, რომ ბესელიას ფრთასთან შეერთებას არ აპირებს და თავის პარტიას შექმნის.

ჭიჭინაძე მთლად მილიარდერი არ არის, მაგრამ საიმისოდ საკმარისი ფული აქვს, რომ პატარა პარტია ჩამოაყალიბოს. არ არის გამორიცხული, მასთან ერთად ვიხილოთ გუბაზ სანიკიძე და აკაკი ასათიანი. ისინი ერთხელ უკვე იყვნენ ერთ პარტიაში.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ივანიშვილის დავალებით რამდენიმე ოპოზიციონერთან არის მოლაპარაკებები დაწყებული. „ოცნებაში“ გადასვლაზე თუ ვერ დაითანხმებენ, დროებით გვერდზე გაწევას სთხოვენ.

ამის სანაცვლოდ ისინი რაღაცას აუცილებლად მიიღებენ.

შაშკინი: „ბევრად უფრო მძიმე ფაქტები გახდება ცნობილი, ვიდრე გრუ-ს აგენტის საქართველოს ბიუჯეტიდან გამდიდრებაა“

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი საქართველოს ბიუჯეტის ფულით რუსეთის კომპანიებისა და მტერთან ჯაშუშობისთვის ბრალდებული პირების გამდიდრებას საქართველოს ხელისუფლების „არაპატრიოტიზმს“ უკავშირებს.

როგორც „ნიუპოსტს“ შაშკინმა განუცხადა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ქვეყანა არ უყვარს. ყოფილი მაღალჩინოსანი რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი მეომრის, გია ცერცვაძის მაგალითს იხსენებს, როცა მისი მონაცემები ოკუპანტი ქვეყნის ხელში აღმოჩნდა და დარწმუნებულია, რომ მოქმედი ხელისუფლების თანამშრომლობა რუსეთთან ხელისუფლების ცვლილების შემდეგ კიდევ უფრო გამოაშკარავდება.

– საქართველო რუსეთის ფედერაციასთან საომარ ვითარებაში იმყოფება. ოკუპანტი ქვეყანა ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრა და მიტაცა ჩვენი ტერიტორიები... ასეთ ვითარებაში ბუნებრივია უნდა იყოს კონკრეტული ნორმები

და ეს ნორმები წინა ხელისუფლების დროს არსებობდა, რომელიც ერთი მხრივ გვაძლევდა საშუალებას დაცული ყოფილიყო ჩვენი ეროვნული ინტერესი ვაჭრობის სფეროში, რომელიც მოქმედებს რუსეთის ფედერაციასთან და მეორეს მხრივ, სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნები ყოფილიყო დაცული. მსგავსი პრეცედენტები არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითისთვის, გამორიცხულია, აშშ-ის სახელმწიფო ფული ირანთან სავაჭრო ურთიერთობაზე დაიხარჯოს.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ფული რუსულ კომპანიებზე და ჯაშუშობაში ბრალდებული ხალხის შპს-ებზე არ იხარჯებოდეს, იმიტომ რომ გარდა აშკარა სახელმწიფო საიდუმლოებისა, არსებობს უამრავი სხვა ინფორმაცია, რომლებმაც შეიძლება დააზიანოს სახელმწიფო ინტერესი.

თუ ვინმეს დაავიწყდა მინდა ყველას შევახსენო 2013-14 წლებში მომხდარი ფაქტი, როცა საქართველოს განათლების სამინისტრომ რუსეთის ფედერაციას გეოდეზიის რუკები გადასცა, რომელსაც პირდაპირ გრიფი საიდუმლო არ ჰქონდა დადებული, მაგრამ შეიცავდა ისეთ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა ჩვენს წინააღმდეგ იყოს გამოყენებული სამხედრო თვალსაზრისით.

დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ცოტა ხანში, როცა ეს ხელისუფლება შეიცვლება, მოსახლეობისთვის ბევრად უფრო მძიმე ფაქტები გახდება ცნობილი ვიდრე რუსული სამხედრო დაზვერვის აგენტის საქართველოს ბიუჯეტიდან გამდიდრება და რუსული კომპანიების ტენდერში გამარჯვებაა. ეს არის, დანაშაულებრივი თანამშრომლობის ოკუპანტ სახელმწიფოსთან... მინდა, შეგახსენოთ ჩვენი სპეცრაზმელის საქმე, რომელიც დაკავებულ იქნა რუსეთის მოთხოვნით და ამ მოთხოვნაში იყო მისი საპასპორტო მონაცემები, რომელიც შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, – განაცხადა დიმიტრი შაშკინმა.

ყოფილი თავდაცვის მინისტრი „ნიუპოსტთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ „ივანიშვილის ხელისუფლებას საქართველო არ უყვარს“.

– ეს ხელისუფლება საქართველოს უყურებს, როგორც გამდიდრების წყაროს. მათი ამოცანა არა ქვეყნის მშენებლობა, არამედ გამდიდრებაა. ამას ესენი ჩვენი მოსახლეობის ხარჯზე აკეთებენ. ხელისუფლებისთვის გაუგებარია, რა არის პატრიოტიზმი, ქვეყნის მიმართ სიყვარული, ისინი რუსეთს უყურებენ, როგორც უფროსს. აქედან გამომდინარე, სახეზეა პრობლემების კომპლექსი – აქ არის ფული და აქ არის მსოფლმხედველობა, – განმარტა დიმიტრი შაშკინმა.

ცნობისთვის, რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული პირი, რომელიც დანაშაულს აღიარებდა და აღწერდა, როგორ გახდა რუსეთის სამხედრო დაზვერვის აგენტი, საქართველოს ბიუჯეტიდან კვლავ ათასობით ლარს იღებს. გაირკვა, რომ დევრიშაძის კომპანიები სახელმწიფო ტენდერებში ისევ მონაწილეობენ და იმარჯვებენ კიდეც.

მაგალითად, თბილისის მერიას დაქვემდებარებულმა შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ გასული წლის 29 ნოემბერს „გლობალ თრეიდ გრუპს“ ხელშეკრულება გაუფორმა. ამავე კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომაც. დოკუმენტი 2018 წლის 11 ოქტომბრით თარიღდება.

ჭიათურაში გაფიცულმა მაღაროელებმა ყველა ის წერტილი გადაკეტეს, საიდანაც მადანი გააქვთ

ჭიათურაში გაფიცულმა მაღაროელებმა ყველა ის წერტილი გადაკეტეს, საიდანაც მადნის გატანა ხდება. ჭიათურმანგანუმის მთავარი საწარმოს გარდა, პარალიზებულია 18-ვე ის მცირე საწარმო, სადაც ნედლეულს მოიპოვებენ.

– არის ქალაქის გასასვლელები გადაკეტილი, რომ გარეცხილი მარგანეცი არ გავიდეს ქალაქიდან. ზესტაფონმა თუ მიიღო მანგანეცი, ჩვენ საერთოდ არავინ მოგვაქცევს ყურადღებას, – განაცხადა ირაკლი ქაშაკაშვილმა.

თუ დღის ბოლომდე მათი მოთხოვნები არ შესრულდება, მუშები ისევ პირის ამოკერვას აანონსებენ.

მამუკა ბახტაძე: „ჭიათურაში სიტუაცია მძიმეა“

პრემიერ-მინისტრის თქმით, ჭიათურაში სიტუაცია მძიმეა. მამუკა ბახტაძის განცხადებით, ყოველი პარალიზებული დღე ქართულ ეკონომიკას აზარალებს.

– ჭიათურაში არსებული სიტუაცია არის მძიმე და მე ვიზიარებ ჩვენი მაღაროელების სამართლიან და ობიექტურ მოთხოვნას ისეთ საკითხებში, როგორიც არის შრომის უფლებები, უსაფრთხოება, სამედიცინო მომსახურება ადგილზე, კვება და სხვა საკითხები. მე ვიცი, რომ ამავე დროს კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, მათ გააკეთეს შეთავაზება და მინდა, ორივე მხარეს ვთხოვო, რომ რაც შეიძლება ინტენსიური დიალოგის შედეგად დროულად ჩამოვყალიბდეთ მისაღებ შედეგებზე, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

„ქვეყანა, სადაც ჩავარდნილია პირველადი ჯანდაცვა და საექთნო სისტემა, ვერასდროს გახდება ლიდერი“

– ქვეყანა, სადაც ჩავარდნილია პირველადი ჯანდაცვა და საექთნო სისტემა, ვერასდროს გახდება ვერავითარი სერვისების მიმწოდებელი და მით უმეტეს ლიდერი. ჩემი აზრით, მედიცინის ხარისხი, პრაქტიკულად, ყოველ წელს ვარდება. თქვენ ვერ ნახავთ კლინიკას თურქეთში, სადაც ქართველი პაციენტი არ მკურნალობს, თანაც ისეთ პრობლემებზე, რაც აქაც შეიძლება მოგვარდეს. განათლების დონე ძალიან დაბალია, ექთანს მიჰყავს მთელი საქმიანობა საავადმყოფოში. ქვეყანაში ერთ ექიმზე 0.8 ექთანი მოდის, როცა გერმანიაში ერთ ექიმზე მოდის 4.2 ექთანი და მიაჩნით, რომ ცოტაა და 6 უნდა იყოს. ინფრასტრუქტურა, რომელიც არის ჩვენს კლინიკაში აბსოლუტურად არარეგულირებადია, სამაგიეროდ შემოაქვთ თანამდებობები, რომლის შემოტანა ყველანაირ აზრს მოკლებულია. ამასთანავე არ გვყავს კლინიკებში ფარმაკოლოგი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს და სახელმწიფოს მიერ უნდა რეგულირდებოდეს. არსებობს ჯანდაცვის ფინანსური სისტემის შეფასების 4 კრიტერიუმი, რომელთაგან საქართველო არც ერთს აკმაყოფილებს, – აცხადებს სამოქალაქო მოძრაობის დამფუძნებელი და ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტი ვატო სურგულაძე პრემიერის განცხადებასთან დაკავშირებით, სადაც მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, რომ საქართველო სამედიცინო სფეროში რეგიონის ლიდერი გახდება.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, საქართველოს აქვს პოტენციალი, დაახლოებით ორი მილიარდის სამედიცინო სერვისი შესთავაზოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს. მამუკა ბახტაძის განცხადებით, ქართველი ერისთვის, სამედიცინო განათლება არის ძალიან მნიშვნელოვანი ტრადიცია და ამავე დროს ორიენტირი მომავლისკენ.

რა სჭირდება ჯანდაცვის სისტემას იმისთვის, რომ პრემიერის პროგნოზი გამართლდეს და რა ასპექტში უნდა განვითარდეს ეს სფერო, ამასთან დაკავშირებით ვატო სურგულაძე ასახელებს იმ ძირითად ბერკეტებს, რომელთა გათვალისწინება და მათზე მუშაობა სასიცოცხლოდ სჭირდება ქართულ მედიცინას. მანვე აღნიშნა, რომ პირველადი მედიცინა ქვეყანაში განუვითარებელია და სწორედ ამ მიმართულებით უნდა ისწრაფოდეს ჯანდაცვის სისტემა.

– ჯანდაცვის რეფორმას სჭირდება 5 ძირითადი ბერკეტი, ამას წერს მარკ რობერტი, რომელიც არის მსოფლიო ჯანდაცვის რეფორმაში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული პირი, ესენია: დაფინანსების ადეკვატური სისტემა, თანხის პროვაიდერებზე გადანაწილების და გადახდის შესაბამისი სისტემა, რეგულაციები ჯანდაცვის სისტემაში, სტრუქტურა უნდა იყოს შესაბამისობაში (ექთნების რაოდენობა და ა.შ.,) მეხუთე ბერკეტის მიხედვით უნდა შეიცვალოს Behavior-ი, ანუ ადამიანების ქცევა თავისი ჯანმრთელობის მიმართ. ჩვენ არ ვიყენებთ არცერთ ბერკეტს. როდესაც ქვეყანა 2019 წელს მუშაობს იმ ფასებზე, რაზეც 2012 წელს მუშაობდა, რა ხარისხის გაუმჯობესებაზეა საუბარი. არ ჩამოვა არც ერთი უცხოელი, როცა ვერ დაინახავს, რომ ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე თურქეთში და უფრო დაბალი ფასებია. ასეთი არასისტემური მიდგომით საქართველო ვერ გახდება ლიდერი რეგიონში, წარმოუდგენელია. საავადმყოფოები ავაშენეთ და პირველადი ჯანდაცვა არ გვაქვს მაშინ, როცა მთელი მსოფლიო პრევენციული მედიცინისკენ მიდის, არაადეკვატურია. 2013 წელს, ექთანი რომ 500 ლარზე მუშაობდა და წელსაც ისევ 500 ლარზეა, როგორ უნდა მოსთხოვო მას მოტივირებული მუშაობა.

ქვეყანაში 282-მდე კლინიკაა და რომ მკითხოთ, რომელია ხარისხიანი, მაქსიმუმ 2 შემიძლია დავასახელო, რაც ევროპულ სტანდარტებთან მეტნაკლებად ახლოსაა. არ შეიძლება ჯანდაცვაში რეფორმის ალაგ-ალაგ გაკეთება, ეს არ არის სისტემა, – აცხადებს ჯანდაცვის ექსპერტი.

რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორი ავთანდილ იმედაძე „კომერსანტთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პაციენტების გადინება საქართველოდან საგანგაშოა და იმისთვის, რომ ეს პროცესი დარეგულირდეს რამდენიმეწლიანი კომპლექსური მუშაობაა საჭირო.

– ძალიან დიდია გადინება საზღვარგარეთ სამედიცინო სერვისების მისაღებად, თვეში, მარტო თურქეთში 10 მილიონი დოლარი გადის. თურქული კომპანიები კი პაციენტების მოზიდვის მიზნით საქართველოში ოფისებს ხსნიან.

უნდა დაისახოს პრემიერმა მიზანი და კადრები გადამზადდეს უცხოეთში, რადგან კადრები არ არიან მზად, რომ რეგიონში საქართველო გახდეს ლიდერი. ამას კომპლექსური მუშაობა სჭირდება. ვფიქრობ, 3-5 წელიწადი საკმარისი უნდა იყოს ამ პროცესისთვის. ძალიან კარგი თაობა მოდის სამედიცინო სფეროში და მათ უნდა შევუქმნათ შესაბამისი პირობები. ბევრი ჩვენი თანამემამულე საზღვარგარეთ მზადაა ჩამოვიდეს საქართველოში და მოემსახუროს ქვეყანას, თუკი აქ შესაბამისი გარემო დახვდება, – განაცხადა ავთანდილ იმედაძემ.

კარდიოლოგ ანზორ იმედაძის განცხადებით კი, საყურადღებოა ძველი კლინიკები, სადაც ბევრი პროფესიონალი მუშაობს, თუმცა ახალი კლინიკების გახსნით მომსახურების ხარისხი არათუ უმჯობესდება, არამედ უარესობისკენ იცვლება.

პრემიერს ვურჩევ, რომ გააანალიზოს ის ტრადიციული კლინიკები, რომლებიც წლების განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობენ და აქვთ სახელი. ახალი კლინიკები, რომელთაც ვიღაც ბიზნესმენები ხსნიან მომსახურების დონეს აქვეითებენ. თუ ფიქრობენ, რომ ახალი კლინიკების გახსნით, ამ სფეროს დაარეგულირებენ, ცდებიან. კლინიკამ 10 წელი მაინც უნდა იარსებოს ასეთი არასწორი საბაზრო ეკონომიკის დროს, რომ ღირებული გახდეს. მთავრობის წევრები რომ ახლად გახსნილ კლინიკებს მფარველობენ, ეს ცხადზე ცხადია. მართლაც თუ ხელს შეუწყობენ იმ ტრადიციულ კლინიკებს, რომელიც დიდი ხანია ბაზარზე არსებობენ, საქართველო მართლაც წამყვანი იქნება რეგიონში. ახლად გახსნილი კერძო კლინიკები გადასული არიან ფულის კეთებაზე და არა ავადმყოფის მოვლაზე. კლინიკებში როცა გულგრილობას ხედავენ პაციენტები, არ ჩერდებიან და მიდის საზღვარგარეთ, – აცხადებს ანზორ მელია „კომერსანტთან“ ინტერვიუში.

კომერსანტი

ტაქსის მძღოლები მერიას ულტიმატუმით მიმართავენ

თუკი დედაქალაქის მერია რეგულაციების ამოქმედებას 2021 წლის 31 დეკემბრამდე არ გადაავადებს, ტაქსის მძღოლები აქციებით იმუქრებიან. მერიას ისინი ვადას 1 ივნისამდე აძლევენ.

ამ მოთხოვნით 23 მაისს საორგანიზაციო ჯგუფის 15-მა წევრმა თბილისის მერს ღიად მიმართა.

– ხელისუფლება გვაღარიბებს იმის ნაცვლად, რომ მოქალაქეებს ხელი შეუწყოს. ვინც გვერდში დაგვიდგება და ჩვენს გასაჭირს გაიზიარებს, აბსოლუტურად ყველასთან ვითანამშრომლებთ. ვიბრძვით, რომ გვაცალონ ოჯახების გამოკვება, – ეუბნება რადიო თავისუფლებას ტაქსის მძღოლების საინიციატივო ჯგუფის წევრი ლევან ხუზაურაშვილი.

საორგანიზაციო ჯგუფის წევრები არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ. 23 მაისს მათ დაგეგმეს შეხვედრა „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენლებთან.

ტაქსის მძღოლები უარს ამბობენ:

მანქანების თეთრად გადაღებვაზე;

მანქანებზე თეთრი ფირის გადაკვრაზე;

მარჯვენასაჭიანი ტაქსების აკრძალვაზე;?

ტექინსპექტირების წელიწადში ორჯერ გავლის ვალდებულებაზე.

– მე რომ თეთრად შევღებავ მანქანას, ამით ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდება?! ეს ყველაფერი ფასადურია. მარჯვენასაჭიანი მანქანებით მუშაობის უფლება 2019 წლის ბოლომდე გვაქვს. 6 თვეში მილიონებს ვიშოვით და ახალ მანქანებს ვიყიდით თუ რას ფიქრობენ?! – ამბობს რადიო თავისუფლებასთან საუბრისას ლევან ხუზაურაშვილი.

მარჯვენასაჭიანი ავტომანქანებით მგზავრების გადაყვანის უფლება ტაქსის მძღოლებს 2021 წლის 1 იანვრამდე მიეცათ. მძღოლები მოითხოვენ, რომ ეს რეგულაციაც 2021 წლის 31 დეკემბრამდე გადავადდეს.

– არავის ეხალისება ტაქსზე ჯდომა, მთელი დღე საცობებში დგომა და საჭის ტრიალი. უკიდურესი გაჭირვება რომ არის, იმიტომ ვაკეთებთ ამ საქმეს. რეგულაციების წინააღმდეგი არ ვართ. ჩვენ ვითხოვთ დროს, რომ რეგულაციებს მოვერგოთ, – ამბობს ლევან ხუზაურაშვილი.

ტაქსის მძღოლებმა ბოლო პერიოდში რამდენიმე საპროტესტო აქცია გამართეს. 11 აპრილს კი თბილისში გაიმართა მასშტაბური აქცია, რომლის დროსაც ტაქსის მძღოლები ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრამდე ავიდნენ. ამ აქციის ორგანიზებაში მონაწილეობდა „ლეიბორისტული პარტია.

ტაქსის მძღოლებთან მოლაპარაკების პროცესში თბილისის მერია გარკვეულ დათმობებზე წავიდა და, მაგალითად, ტაქსის მძღოლებს მიეცათ საშუალება შეღებვის ნაცვლად, ავტომანქანებს თეთრი ფერის ფირი გადააკრან. შესაღებად ან ფირის გადასაკრავად 700-ლარიანი ვაუჩერები გაიცემა. ასევე 2021 წლის 1 იანვრამდე გადავადდა მარჯვენასაჭიანი ტაქსების აკრძალვა.

თბილისის მერის გადწყვეტილებით, 2019 წლის ოქტომბრიდან დედაქალაქის ქუჩებში მგზავრების აყვანის უფლება ექნებათ მხოლოდ A კატეგორიის, მხოლოდ თეთრი ფერის ტაქსებს. მათთვის განსაზღვრულია სხვა პრივილეგიებიც. ხოლო B კატეგორიის ტაქსი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის, თუმცა მათ მგზავრების ქუჩაში აყვანის უფლება არა აქვთ და შესაძლებელია, რომ კომპანიების ქსელებში გამოძახებით იმუშაონ.

რადიო თავისუფლება

მთავრობა ბიოწარმოებაში ჩართული ფერმერების სუბსიდირებას გეგმავს

მთავრობა ბიოწარმოებაში ჩართული ფერმერების სუბსიდირებასა და დახმარებას გეგმავს. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განმარტა, საუბარია დახმარებაზე როგორც წარმოების, ასევე საკონსულტაციო საქმიანობისა და სერტიფიცირების ეტაპზე.

– ორი კომპონენტისგან განისაზღვრება დახმარება, ერთი, ეს არის, მოვაგროვოთ გადასახადები და სუბსიდირების სახით დავაბრუნოთ კონკრეტული დარგის დაფინანსებით, ან შევამციროთ გადასახადები. ვფიქრობთ, ბიოწარმოებაში ორივე კომპონენტი გამოსაყენებელია.

ჩვენ გვაქვს კომპლექსური პროგრამა ბიოწარმოების მხარდაჭერის და დაფინანსების. ეს გულისხმობს დახმარებას როგორც წარმოების ეტაპზე, ისე დამხმარე მასალების თანადაფინანსებას, საკონსულტაციო საქმიანობასა და სერტიფიცირების პროცესს. ყველა ეტაპი მნიშვნელოვანია. ამის გარეშე ჰექტრობით მიწის ნაკვეთების მოქცევას ბიოწარმოებაში ხელს ვერ შევუწყობთ. იმიტომაც ითქვა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდება ამის შექმნა და სისტემების ჩამოყალიბება, რომ საშუალება მოგვეცეს, აღვასრულოთ.

ვადებს ვერ გეტყვით, განიხილება მთავრობაში და, როდესაც გავივლით პროცედურებს, უახლოეს მთავრობის სხდომაზე წარვადგენთ, – განაცხადა დავითაშვილმა.

კომერსანტი

მამუკა ბახტაძე ლარის გაუფასურებაზე: „თურქეთის გავლენაა. ეს არის ძალიან მოკლევადიანი ეფექტი“

პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის აზრით, ლარის მკვეთრი გაუფასურება „თურქეთის ფაქტორმა“ გამოიწვია. პრემიერი მიიჩნევს, რომ ეს არის მოკლევადიანი ეფექტი და ეროვნული ვალუტა უახლოეს პერიოდში დაუბრუნდება იმ მაჩვენებელს, „რომელსაც უნდა დავუბრუნდეთ.

მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომამდე გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ქართულ ეკონომიკაში ყველა ფუნდამენტური ფაქტორი არის „ძალიან მდგრადი და პოზიტიური ტრენდის მქონე“. მისი შეფასებით, ორიენტირება ექსპორტზე, მომსახურების სექტორზე, ტურიზმზე, იმპორტის ჩანაცვლებასა და „რაც მთავარია, ლარიზაციაზე“. გრძელვადიან პერსპექტივაში იმის ერთადერთი გარანტია, რომ „საქართველო არ იყოს ასეთი მოწყვლადი“ მეზობელი ქვეყნების ეკონომიკების მიმართ.

– ჩვენ გვაქვს მცირე ზომის ეკონომიკა და ბუნებრივია, ჩვენი მეზობელი დიდი ქვეყნები თავიანთი დიდი ეკონომიკით ახდენენ გავლენას ლარის კურსსა და ზოგადად, მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე საქართველოში. ექსპორტის მაჩვენებელი არის მაქსიმუმზე, ტურიზმის ციფრები არის ძალიან კარგი, მიმდინარეობს სავაჭრო დეფიციტის შემცირება, აქედან გამომდინარე, ყველა ფუნდამენტური ფაქტორი არის ძალიან მდგრადი და პოზიტიური ტრენდის მქონე.

რა თქმა უნდა, იმ მოვლენებმა, რომელსაც აქვს ადგილი თურქულ ეკონომიკაში, თავისი გავლენა იქონია, მაგრამ იმ ფაქტორებიდან გამომდინარე, რომელიც დაგისახელეთ, ასევე, ეროვნული ბანკის რეზერვები არის ძალიან მასშტაბური და მყარი, ჩვენი მაკროეკონომიკური პარამეტრები არის ძალიან მდგრადი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამაც იგივე დაადასტურა, რა თქმა უნდა, შეფასება არის ერთმნიშვნელოვანი – ეს არის ძალიან მოკლევადიანი ასახვა, – განაცხადა პრემიერმა და აღნიშნა, რომ ასეთ საკითხს „სისტემური გადაწყვეტის პრიზმიდან“ უნდა ვუყურეთ.

– ჩვენი ეკონომიკა არ უნდა იყოს ადვილად მოწყვლადი, საქართველო არსებობს იმ რეგიონში, სადაც ყოველთვის იქნება გარკვეული ტიპის რისკების ან მცირე შოკების საფრთხე. ამისთვის დავიწყეთ ლარიზაციის გეგმა, რომ რაც შეიძლება ნაკლებად იყო თითოეული საქართველოს მოქალაქე დამოკიდებული გაცვლით კურსზე. იყო პერიოდი საქართველოში, როცა დოლარიზაციის მაჩვენებელი იყო უმაღლეს წერტილში, ეს იყო უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგი. ასევე, სავაჭრო დეფიციტი არის ჩვენი ეკონომიკის აქილევსის ქუსლი, რამდენიმე წლის წინ მიმდინარე სავაჭრო დეფიციტი შეადგენდა თითქმის 13%-ს, ეს იყო ერთერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელი მსოფლიოში, ჩვენ შევძელით და ეს გავანახევრეთ.

ეს არის, როგორც ჩანს, ძალიან მოკლევადიანი ეფექტი და უახლოეს პერიოდში ჩვენ დავუბრუნდებით იმ მაჩვენებელს, რასაც უნდა დავუბრუნდეთ, – თქვა მამუკა ბახტაძემ.

ორ თვეზე მეტია, ლარს დოლართან თითქმის ყოველდღიური გაუფასურების ტენდენცია აქვს. ეროვნული ბანკის 23 მაისის ვაჭრობის შედეგები ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა, კომერციულ ჯიხურებში 1 დოლარი 2.79 ლარი ღირს, 1 ევრო – 3.11 ლარი. ბანკებში უცხოური ვალუტა უფრო ძვირია – 1 დოლარის შეძენა 2.81 ლარად შეგიძლიათ, 1 ევროსი – 3.15 ლარად. ლარი დოლართან დღის მანძილზე 2 თეთრით გაუფასურდა ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაშიც.

1 მარტს 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.6794 ლარი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ლარი დოლართან 10 თეთრზე მეტით გაუფასურდა. ევროსთან მიმართებით კი, 1 მარტის შემდეგ, ლარი თითქმის 5 თეთრით გაუფასურდა.

კომერსანტი

მიხეილ დვალიშვილი: „დავხედე ბავშვს, თეთრად ჰქონდა დუჟი ამოსული, გარდაცვლილი იყო“

ჩვილის მკვლელობაში ბრალდებული დედა დანაშაულს არ აღიარებს

გუშინ, 23 მაისს, სოფელ აღაიანში 7 თვის ჩვილის მკვლელობაში ბრალდებულ არასრულწლოვან დედას, მ.შ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გორის რაიონულმა სასამართლომ მიიღო.

არასრულწლოვანი ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობა ბრალდების მხარემ დააყენა, რასაც ადვოკატიც დაეთანხმა.

ბრალდებული არასრულწლოვანი ჩადენილ დანაშაულს არ აღიარებს. ის ამ ეტაპზე დუმილის უფლებით სარგებლობს.

– პატიმრობაზე დათანხმება არ ნიშნავს, რომ ის ჩადენილ დანაშაულს აღიარებს, – ამის შესახებ გოგონას ადვოკატმა ქეთევან გაგოევმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

ადვოკატის თქმით, ისინი პატიმრობას ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე დათანხმდნენ.

– დაცვის მხარეს განსხვავებული პოზიცია არ ჰქონია და ჩვენ დასაცავ პირთან შეთანხმებით, დავეთანხმეთ პატიმრობის გამოყენებას. ჩვენ შევთანხმდით დასაცავ პირთან და ჩავთვალეთ, რომ ამ ეტაპზე ასე არის მისთვის საჭირო, – აცხადებს ადვოკატი.

მ.შ. საფრთხეს ხომ არ გრძნობდა და ამიტომ ხომ არ არჩია პატიმრობაში დარჩენა? ამ კითხვას ადვოკატი პასუხობს, რომ მას ბრალდებულთან აღნიშნულზე არ უსაუბრია და ინფორმაცია არ აქვს.

ადვოკატის თქმით, მას არასრულწლოვანმა გოგონამ მხოლოდ ის უთხრა, რომ ამ ეტაპზე დუმილის უფლების გამოყენება და პატიმრობაზე თანხმობა ურჩევნია და მიზეზი არ განუმარტავს.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 28 ივნისს, 14:00 საათზე ჩაინიშნა.

❖ ❖ ❖

მოკლული ჩვილის მამამ საზარელი ღამის დეტალები გაიხსენა.

მიხეილ დვალიშვილი ყვება, რომ მას და მის მეუღლეს კონფლიქტი ხშირად მოსდიოდათ, მიზეზი კი სმს შეტყობინებები იყო, რომლებსაც მიხეილ დვალიშვილის მეუღლე უცნობებს სწერდა.

ტრაგედიის ღამეს, მიხეილ დვალიშვილის თქმით, მას გაეღვიძა და აღმოაჩინა, რომ მისი მეუღლე სახლიდან წასული იყო, ბავშვი კი გარდაცვლილი დახვდა.

– ცუდი ამინდიც იყო გარეთ და შემოვედი სახლში, რომ ჩავიცვამ-მეთქი თბილად და წავედი და მოვძებნი-მეთქი სადმე. ბავშვს კიდევ დავხედე, ბავშვი აქ იყო, არ ვანთებდი სინათლეს, რომ არ გავაღვიძო-მეთქი, მეუღლე მოვძებნო თუ ბავშვს მივხედო-მეთქი. ამ შეშინებულზე კი ავანთე შუქი და შემოვედი.

ქურთუკი რომ ავიღე, რომ მომეცვა. გადმოვხედე ბავშვს, რომ თეთრად ჰქონდა, დუჟი ჰქონდა ამოსული და ვიფიქრე, რომ საჭმელი გაქვს-მეთქი ამოღებული, მოვწმინდავ-მეთქი ამ ბავშვს ამ დუჟს. რომ მივედი, ადიელა გადავხადე და გარდაცვლილი იყო უკვე ბავშვი, – განაცხადა მიხეილ დვალიშვილმა.

მეუღლეებს შორის კონფლიქტის შესახებ ოჯახის ნათესავებიც საუბრობენ.

მიხეილ დვალიშვილის მამიდა ამბობს, რომ გოგონას მეუღლე ხშირად სთხოვდა, ენახებინა მიმოწერა, რაზეც ის უარს აცხადებდა.

– ჯოჯოხეთი გამოგვატარა ამ გოგომ. არ გვინდოდა ოჯახს და ბევრჯერ წინააღმდეგიც ვიყავი მაგ გოგოსი. მერე მემუქრებოდა, მიშოს დავაჭერინებ, თქვენ თუ მე სახლიდან გამაგდებთო. კამათი მოსდიოდათ ცოლსა და ქმარს სულ სმს-ების გამო. რომ მოსთხოვდა ქმარი სმს-ს ვის სწერ, შლიდა, მეგობარს აბრალებდა. მაგრამ ეს სთხოვდა, მაჩვენე აბა, ის მეგობარი ვინ არისო.

სულ ეჭვის ქვეშ იყო ეს ბავშვი, მაგრამ ამას დედამისი აჩუმებდა, მიშო, არაფერი უთხრა, მისწეროს, ვის მისწერს, ისეთი რა და გააკეთოს. ვერ დაიჯერებდა დედამთილი იმას, რომ ეს გოგო ბიჭებს სწერდა სმს-ებს, – განაცხადა მიხეილ დვალიშვილის მამიდამ ნონა დვალიშვილმა.

ჩვილის მკვლელობისთვის დაკავებული დედის ახლობლებმა კურიერის ჟურნალისტები ცემეს



გუშინ, 23 მაისს, თავდასხმა მოხდა „კურიერის“ გადამღებ ჯგუფზე – წყალტუბოში „კურიერის“ გადამღებ ჯგუფს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

ედიშერ მუშკუდიანსა და ბაკურ ჩიხლაძეს თავს 5-ზე მეტი პირი დაესხა. შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც „კურიერის“ ჟურნალისტები პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ.

გადამღები ჯგუფი წყალტუბოში იმ გოგონას ოჯახში იმყოფებოდა, რომელიც 7 თვის ჩვილის მკვლელობის ბრალდებით არის დაკავებული. დაკავებულის ახლობლებმა და მეზობლებმა კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვეს, მას შემდეგ კი, როდესაც ედიშერ მუშკუდიანი და ბაკურ ჩიხლაძე ავტომობილში სხდებოდნენ, მათ თავს რამდენიმე ადამიანი დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა.

ედიშერ მუშკუდიანი და ბაკურ ჩიხლაძე ქუთაისის „ევექსის“ კლინიკაში არიან გადაყვანილი. ედიშერ მუშკუდიანს მრავლობითი მოტეხილობები და თვალის კაკლის დაჟეჟილობა აღენიშნება. ექიმების თქმით, მიმდინარეობს მდგომარეობის შეფასება/დაკვირვება დინამიკაში. სწორედ დაკვირვების შედეგად იქნება მიღებული გადაწყვეტილება მის თბილისში ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებით.

„კურიერის“ ოპერატორმა თავდასხმის ამსახველი ვიდეომასალის გადაღება შეძლო.

კადრები შინაგან საქმეთა სამინისტროში მტკიცებულების სახით არის წარდგენილი.

გუშინვე შსს-მ ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტზე 2 პირი დააკავა.

სამართალდამცველების მიერ გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა წყალტუბოს სოფელ ზედა მესხეთში იმ დროს, როდესაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი და ოპერატორი პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდნენ, მათზე განახორციელეს ჯგუფური თავდასხმა და ხელი შეუშალეს ჟურნალისტურ საქმიანობაში.

პოლიციამ დაიკავა 2 პირი: 2000 წელს დაბადებული მ.შ. და 2000 წელს დაბადებული გ.მ.

„გამოიკითხა ინციდენტში მონაწილე ყველა პირი, მათ შორის ჟურნალისტი და ოპერატორი, რომლებმაც მათზე მოძალადე ორი პირი ამოიცნეს. გამოძიების ამ ეტაპზე თავდასხმაში სხვა პირთა მონაწილეობა არ დასტურდება.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ჯგუფურად ძალადობა) და სსკ-ის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობის უკანონო ხელის შეშლა) მიმდინარეობს.“ – წერია უწყების განცხადებაში.

„ბიჭები წიხლით არიან ნაცემი, გოგოს სახეში აქვს გარტყმული“

სროლა რუსთავში

22 მაისს, ღამით, სროლა იყო რუსთავში – მე-17 მიკრორაიონში ერთმანეთს კაფე-ბარ „შარკის“ დაცვის თანამშრომელი და მოქალაქეები დაუპირისპირდნენ.

კამათსა და სიტყვიერ შეურაცხყოფას ფიზიკური შეხლა-შემოხლაც მოჰყვა. ნაცემია ორი ახალგაზრდა მამაკაცი. გარდა ამისა, დაზიანებები მიიღეს ინციდენტში მონაწილე გოგონამ და დაცვის თანამშრომელმა.

დაპირისპირება ბარში ახალგაზრდების სიგარეტით შესვლას მოჰყვა. ჩხუბის დროს დაცვის თანამშრომელმა გამაფრთხილებელი გასროლა განახორციელა. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარების, საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟები.

მოგვიანებით დაპირისპირებული მხარეები რუსთავის პოლიციაში გამოკითხვაზე გადაიყვანეს. ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო.

– ცეკვავდნენ სამი მეგობარი და რომ წამოვიდნენ, მეცხრამეტე შესასვლელთან დაიჭირეს სამმა დაცვამ, მივიდნენ და ბიჭები მაგრად სცემეს და მერე გოგოც. ბიჭები ვიცი, რომ წიხლით არიან ნაცემები და სახეშიც ურტყამდნენ, გოგოს აქვს სახეში გარტყმული და თვალზე ადევს ნატკენი დიდი, გასროლა მოხდა ბოლოს, უკვე რომ ძალიან შევიდა ჩხუბში და ერთი ამბები მოხდა, – აცხადებს ერთ-ერთი თვითმხილველი.

„შალვა ქათამაძემ ყოფილი ცოლი საწოლზე დააბა და ქამრით გაგუდა“

ქეთი სუთიძე საქართველოში გადმოასვენეს

საბერძნეთში მოკლული ქეთი სუთიძე საბერძნეთიდან საქართველოში გადმოასვენეს.

შემთხვევა 15 მაისს ათენის გარეუბან კალითეაში მოხდა. საზარელ მკვლელობაში ეჭვმიტანილი სუთიძის ყოფილი მეუღლე შალვა ქათამაძეა, რომელიც საბერძნეთში პატიმრობაშია.

ბერძნული მედია ავრცელებს ინფორმაციას საქმის გამოძიების პროცესში ახალი დეტალებისა და მკვლელობის სავარაუდო მიზეზის შესახებ.

გამოცემა ესპრესონიუსი იუწყება, რომ, ბერძენი სამართალდამცველების ვერსიით, მკვლელობის მიზეზი ყოფილი მეუღლის ეჭვიანობა გახდა.

ქეთი სუთიძე ნაქირავებ ბინაში 15 მაისს გარდაცვლილი იპოვეს. სამართალდამცველებმა იმ გარემოებაზე გაამახვილეს ყურადღება, რომ ქალი საკუთარ საცხოვრებელში იყო ჩაკეტილი – ქამრით გაგუდული. სწორედ ამ გარემოების გამო და ასევე, მეზობლების ჩვენებებზე დაყრდნობით, პოლიციელებმა ეჭვი ყოფილ მეუღლეზე მიიტანეს.

გაირკვა, რომ შალვა ქათამაძეს ყოფილი მეუღლის ბინის გასაღები ჰქონდა. მეზობლების ინფორმაციით, მამაკაცი ყოფილ მეუღლეს ხშირად სტუმრობდა. შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე, 10 მაისს და 13 მაისსაც იყო მისული და სახლიდან ყვირილისა და ჩხუბის ხმა ისმოდა.

ბერძენი სამართალდამცველების ვერსიით, მკვლელობის დღეს ქეთი სუთიძემ შვილები წაიყვანა სკოლაში და დაბრუნდა კალითეაში მდებარე საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, სადაც მივიდა შალვა ქათამაძე. მათ შორის მოხდა მწვავე დაპირისპირება. ქათამაძემ საწოლზე დაბა ყოფილი მეუღლე, მოიხსნა ქამარი და გაგუდა. შემდეგ ცხედარს დააფარა საბანი, კარები გარედან ჩაკეტა და გაუჩინარდა.

განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ქათამაძე ალიბის შექმნას ცდილობდა. მკვლელობის დღეს გარდაცვლილის ტელეფონიდან ქათამაძისთვის გაგზავნილია სმს შეტყობინება, რომელშიც სუთიძე სთხოვს ყოფილ მეუღლეს, რომ ბავშვები სკოლიდან მან გამოიყვანოს. სავარაუდოდ, ეს შეტყობინება შალვა ქათამაძემ საკუთარ მობილურზე თვითონ გაიგზავნა, მას შემდეგ, რაც ყოფილი მეუღლე მოკლა.

ბრალდებული ბრალს არ აღიარებს. ბრალდებულის სასამართლო პროცესი საბერძნეთში 22 მაისს გაიმართა და მას დაესწრო ქეთევან სუთიძისა და შალვა ქათამაძის 12 წლის შვილი.

გარდაცვლილსა და ბრალდებულს ორი საერთო შვილი ჰყავთ – 9 წლის გოგონა და 12 წლის ბიჭი.

„ამბებს“ საბერძნეთში მცხოვრებმა ქართველმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ დაკავებული შალვა ქათამაძის დედამ, ანუ მოკლულის დედამთილმა და მულმა უარი განაცხადეს, რომ ბავშვები დედის დაკრძალვას დასწრებოდნენ.

მეურვის, ამ შემთხვევაში მამის ნებართვის გარეშე ისინი საბერძნეთს ვერ დატოვებენ.

ბავშვები ამჟამად საბერძნეთში მამიდასთან იმყოფებიან.

ამბები

„ეს იყო საშინელი სურათი“

სუფსაში ცოლ-ქმარი, მამაკაცის ძმა და დეიდაშვილი დაიღუპნენ

გუშინ, 23 მაისს, სუფსაში მსუბუქი ავტომობილი სატვირთოს შეეჯახა.

ავარიას 4 ახალგაზრდის სიცოცხლე ემსხვერპლა.

გარდაცვლილები არიან ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, დაღუპული მამაკაცის ძმა და მათი დეიდაშვილი.

ლანჩხუთიდან ბათუმის მიმართულებით სწრაფად მიმავალმა „ოპელის“ მარკის ავტომობილმა მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა, მოცურდა და მძიმე სატვირთო მანქანას შეეჯახა.

– ოთხივე ახალგაზრდა ადგილზე დაიღუპა. ეს იყო საშინელი სურათი. აქ ხშირად ხდება ავარია. მოვითხოვთ გზაზე სიჩქარის მაკონტროლებელი ბარიერი დააყენონ. ბავშვები ბაღში დადიან, სკოლაში და ძალიან გვეშინია. მოგვაქციონ ყურადღება, – განაცხადა ადგილობრივმა გენადი გურგენაძემ.

მომხდარ ავარიას შემთხვევით შეესწრო ლანჩხუთის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე.

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას ბატონი ბესო ამბობს, რომ ასეთი კადრები ცხოვრებაში არ უნახავს.

– საშინელებაა, სიტყვებით ძნელია რამის გადმოცემა. ამ დილით სრულიად შემთხვევით შევესწარი ფაქტს. სავარაუდოდ, წვიმის გამო მსუბუქი ავტომობილი მოსრიალდა და სატვირთოს მთელი ძალით შეეჯახა. ადგილზე ყველა დაიღუპა. მანქანა ისეა დაზიანებული, რომ მათი გადმოყვანა ამ დრომდე ვერ მოხერხდა, – ამბობდა საკრებულოს თავმჯდომარე ავარიიდან ცოტა ხნის შემდეგ.

გუშინ ერთ-ერთი გარდაცვლილის, ა.კ.-ს (რომელიც ცოტა ხნის წინ დაქორწინდა) გარდაცვლილი დედის დაბადების დღე იყო. მას დეიდაშვილებისთვის ჩაუკითხავს ურეკში. უბედური შემთხვევა კი უკან გზაზე მოხდა.

გამოძიება 276 მუხლის მერვე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც 2 და მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

2019, 24 მაისი, №121

ზელენსკიმ უკრაინელები შეაშინა

ვლადიმერ ზელენსკი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. საამისოდ, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ძველი პარლამენტის ახლით შეცვლა. ზელენსკი ჩქარობდა და ეს გასაგებია. დღეს მისი პარტიის „ხალხის მსახურის“ რეიტინგი 29%-ია. შემოდგომისთვის ის უეჭველად შემცირდება. ზელენსკი ცდილობს, მთელი სადავეები ხელში აიღოს და როგორც პარლამენტზე, ასევე მომავალ მთავრობაზეც აბსოლუტური კონტროლი დაამყაროს.

ყოველივე ამან განაპირობა პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დათხოვნაც. აქ თავი იჩინა იმან, რომ ზელენსკის პოლიტიკური გამოცდილება არ გააჩნია. დიახ, უკრაინელთა 70% პარლამენტის დათხოვნას მიესალმება, მაგრამ საამისოდ მხოლოდ ხალხის მხარდაჭერა არ კმარა. აუცილებელია იურიდიული სარჩულიც. ზელენსკიმ ეს უგულებელყო. მისმა კონკურენტებმაც ახლად არჩეული პრეზიდენტის შეცდომა გამოიყენეს.

– პარლამენტის დათხოვნა უკანონოდ მოხდა, – განაცხადა რადის სპიკერმა ანდრეი პარუბიიმ.

რადამ ზელენსკის მიერ შემოთავაზებული საარჩევნო კანონი უარყო. მის თანახმად, მაჟორიტარული სისტემა უნდა შეცვლილიყო.

ზელენსკიმ შეცდომა დაუშვა. ამან როგორც მისი წინადადების არმიღება, ასევე პრეზიდენტისა და პარლამენტის დაპირისპირება გამოიწვია.

პრეზიდენტისა და პარლამენტის დაპირისპირება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის დაპირისპირებას ნიშნავს. რიგ ქვეყნებში ეს საზოგადოების გახლეჩით მთავრდება. უკრაინას ამ ეტაპზე ეს არ ემუქრება. პრეზიდენტი ზელენსკი აბსოლუტური მხარდაჭერით სარგებლობს (73%), პარლამენტის რეიტინგი კი მხოლოდ 4%-ია. შესაბამისად, რადის დასაცავად ხმას არავინ ამოიღებს.

ერთადერთი, რისი მიღწევაც პარუბიის შეუძლია, საკონსტიტუციო სასამართლოში ჩივილია. სარჩელის განხილვას დრო დასჭირდება. ამავე დროს, იმედი, რომ პრეზიდენტის განკარგულების (პარლამენტის დაშლის შესახებ) გაუქმება მოხერხდება, ფუჭია. ვადამდელი არჩევნები მაინც ჩატარდება. ზელენსკის პარტია „ხალხის მსახური“ თავის ხმებს მიიღებს და უმრავლესობას მოიპოვებს. ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ პარლამენტი უკანონოდ დაიშალა. ეს ზელენსკის დამოკლეს მახვილივით გაჰყვება.

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების პირველივე დღიდან ზელენსკის დაეწყო კონფლიქტები. მომავალში ეს უდავოდ გაძლიერდება. ახალი პრეზიდენტის რიგი გეგმა (დონბასში კომპრომისები და ა.შ.) საზოგადოების არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. უკრაინის ახალი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალ უფროს ბოგდანის განცხადებით, უკრაინის ახალი ხელისუფლება დონბასში მშვიდობის აღდგენასთან დაკავშირებით კომპრომისებისათვის მზადაა.

– ჩვენ ჩავატარებთ რეფერენდუმს, რათა ხალხმა თავად გადაწყვიტოს, თუ რა კომპრომისებისთვისაა მზად, – თქვა ბოგდანმა.

ამას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. დასავლეთში ეს სიტყვები რუსეთის წინაშე კაპიტულაციის მზადყოფნად შეაფასეს. ასეთივე იყო უკრაინელ პატრიოტთა პოზიციაც.

ბოგდანის განცხადება რუსეთშიც არ მოეწონათ.

– რეფერენდუმის ჩატარებას დრო და სახსრები დასჭირდება! თუ ზელენსკის მშვიდობის დამყარება მართლა სურს, დაუყოვნებლივ გასცეს ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, უკრაინული არმია კი დონბასიდან გაიყვანოს! – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი.

ლავროვის აზრით, ზელენსკიმ უნდა აკრძალოს ყველა ნაციონალისტური ორგანიზაცია, შეამციროს უკრაინული არმია და ა.შ.

– სხვაგვარად მისი სიტყვები მშვიდობის აღდგენის თაობაზე გულწრფელი არაა, – ამბობს ლავროვი.

ზელენსკის ბრძანება ვადამდელი არჩევნების ჩატარების თაობაზე გაზეთ „ურიადოვი კურიერში“ (სამთავრობო კურიერი) გამოქვეყნდა. ამრიგად, მან კანონის ძალა შეიძინა. არჩევნები 21 ივლისს ჩატარდება. მიუხედავად ამისა, ზელენსკის პირველმა ნაბიჯებმა საზოგადოება შეაშფოთა.

– თუ ზელენსკიმ ასე გააგრძელა, პოსტს დიდხანს ვერ შეინარჩუნებს, – განაცხადა უკრაინის ექსპრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ.

ერდოღანი და ტრამპი, შესაძლოა, ერთმანეთს შეხვდნენ

თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი და აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, შესაძლოა, მალე ერთმანეთს შეხვდნენ. შეხვედრა თურქეთში ან იაპონიაში მომდევნო თვეში დაგეგმილი „დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში შეიძლება შედგეს.

ამის შესახებ თურქეთის სამთავრობო წყარო იტყობინება.

ანონიმური წყარო აცხადებს, რომ ერდოღანმა ტრამპი თურქეთში მიიწვია. ამერიკის პრეზიდენტმა, შესაძლოა, მიწვევა მიიღოს, რაც დადებითი სიგნალია.

– ჩვენ ახლა ვმუშაობთ თარიღზე. ორმხრივი შეხვედრისთვის ველოდებით დროის დაზუსტებას, – განაცხადა წყარომ.

შეგახსენებთ, ვაშინგტონსა და ანკარას შორის ბოლო პერიოდში ვითარება დაძაბულია. ამის მიზეზი თურქეთის გეგმებია, რომლის მიხედვითაც ის რუსული ს-400 ტიპის თავდაცვითი სისტემების ყიდვას აპირებს, რაც, ვაშინგტონის აზრით, ნატოს თავდაცვით სისტემას ეწინააღმდეგება.

თურქეთის თავდაცვის მინისტრის თქმით, აღნიშნული გეგმების გამო აშშ-სგან ანკარის წინააღმდეგ სანქციების დაწესებაა მოსალოდნელი.

ეკატერინბურგში ეკლესია არ აშენდება

ეკატერინბურგში მრავალდღიანი საპროტესტო აქცია დასრულდა.

მოსახლეობა ქალაქის სკვერში ეკლესიის მშენებლობას აპროტესტებდა. ხელისუფლება, პირიქით, მშენებლობას კატეგორიულად მოითხოვდა. მანიფესტანტებს ჯერ ომონი, შემდეგ როსგვარდია მიუსიეს. მიუხედავად ამისა, მათი დაშლა მაინც ვერ შეძლეს.

ბოლოს ხელისუფლებამ დათმო. ეკატერინბურგის მერმა ხალხს აღუთქვა, რომ სკვერში ტაძარი აღარ აშენდება. მშენებლობის დამცავი ღობეც მოაშორეს.

შეტაკებები ჯაკარტაში

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში შეტაკებები გრძელდება. მიზეზი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებია. მოსახლეობის ნაწილი მას არ ეთანხმება.

ჯაკარტაში მასობრივი დემონსტრაციები გაიმართა. მანიფესტანტთა ნაწილმა პარლამენტის შენობაში შეჭრა ცადა. დაცვამ ამისი საშუალება არ მისცა. ამის შემდეგ მანიფესტანტებმა რამდენიმე ავტომანქანა გადააბრუნეს და მაღაზიის ვიტრინები ჩაამსხვრიეს.

პოლიციასა და ხალხს შორის შეტაკების შედეგად 7 ადამიანი დაიღუპა. დაკავებულია 200-მდე მანიფესტანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ტორპედოს ქომაგები კობიაშვილისგან ბოდიშს ითხოვენ

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა გამართულ ბრიფინგზე, რომელიც მატჩების მანიპულირებას შეეხო, ქუთაისის ტორპედოს თაობაზეც ილაპარაკა. მან თქვა, რომ კლუბს დიდი ბიუჯეტი ჰქონდა; რომ პრობლემები შექმნა ინვესტორის წასვლამ და არ უნდა იყოს ისეთი კომენტარები, რომელიც გუნდის შესაძლო დაშლაზე მიანიშნებს... კობიაშვილმა ისიც თქვა, რომ სხვა, გაცილებით ძლიერ ლიგებშიც არის დავალიანებები, მაგრამ ფეხბურთელები მოედანზე გადიან და თამაშობენ.

კობიაშვილი მკაცრი იყო ტორპედოს სამწვრთნელო შტაბის მიმართ. აღნიშნა, რომ ესაუბრა ფეხბურთელებსაც და მწვრთნელებსაც. მისი აზრით, მათ ძალიან არასწორი კომენტარები გააკეთეს, რაც მისთვის გაუგებარია და მოეშვან ამის კეთებას.

ტორპედოს ფანები უმალვე გამოეხმაურნენ კობიაშვილის კომენტარს, სადაც პროტესტზეც არის საუბარი და ეს ხდება ზედ ქართული კლასიკოს წინ, რომელიც დღეს გაიმართება.

გთავაზობთ ქუთაისელი გულშემატკივრების განცხადებას:

– გვინდა გამოვეხმაუროთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ლევან კობიაშვილის დღევანდელ ბრიფინგს, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მან ტორპედოს ფინანსურ კრიზისზეც ისაუბრა.

პირველ რიგში, გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, რომ ტორპედოს მხარს მხოლოდ ტრიბუნაზე არ ვუჭერთ. ჩვენი წევრების უმეტესი ნაწილი ჩართულია კლუბის ყოველდღიურობაში – ვესწრებით თითქმის ყველა ვარჯიშს, გვაქვს უშუალო კომუნიკაცია როგორც მწვრთნელებთან და კლუბის ხელმძღვანელ პირებთან, ისე ფეხბურთელებთანაც. შესაბამისად, ვხედავთ რეალობას!

ყველაზე კარგად ვხედავთ, თუ რამხელა შრომას დებს სამწვრთნელო შტაბი იმისთვის, რომ ტორპედო წარმატებული კლუბი იყოს. ვხედავთ, მიუხედავად არაერთი პრობლემისა და უფულობისა, როგორი მონდომებით გამოდიან ფეხბურთელები ჯერ ვარჯიშზე, შემდეგ – თამაშზე. ვხედავთ იმას, რაც, სამწუხაროდ, ვერ ან არ დაინახა ლევან კობიაშვილმა!

ჩვენთვის ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი გუნდისთვის სრული მხარდაჭერა გამოეხატა, შეურაცხყოფა მიაყენა სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებს. მისი თქმით, გუნდის მთავარი მწვრთნელის, კახა ჩხეტიანის მიერ გაკეთებული კომენტარი სრული უაზრობა იყო... ეს კი ჩვენთვის, ტორპედოს ერთგული ფანებისთვის, მიუღებელი ტონია, ისევე, როგორც ფეხბურთელების მისამართით „ნასროლი ფრაზები“. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისგან, რომელიც პირველ რიგში ჩვენი ინტერესების დამცველი უნდა იყოს, ვერ ავიტანთ მსგავს რეპლიკას. ვერ ავიტანთ მსგავს ბრალდებებს იმ ხალხის მიმართ, ვინც ჩვენთვის ყოველდღიურად ბევრ ოფლს ღვრის.

აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ ლევან კობიაშვილი ერთ-ერთი პირველი იყო, ვისაც ტორპედოს ფანებმა ფინანსური კრიზისის დროს დახმარების თხოვნით მივმართეთ. ის დახმარებას დაგვპირდა, თუმცა ამის ნაცვლად მისგან ჩვენი მწვრთნელებისა და ფეხბურთელების მისამართით შეურაცხმყოფელი სიტყვები მოვისმინეთ, თანაც – საჯაროდ, რასაც ვერავის ვაპატიებთ!

აქედან გამომდინარე, მოვითხოვთ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბოდიში მოუხადოს კლუბის უკლებლივ ყველა იმ წევრს, ვინც ტორპედოს არსებობისთვის ძალიან ბევრს აკეთებს. ბოდიში მოუხადოს ადამიანებს, რომლებიც გაჭირვების დროს სხვებივით მატჩის გარიგებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ გადიან და მოედანზე სულსა და გულს დებენ. გადიან მოედანზე და ჩვენთვის თამაშობენ, იგებენ! იმ შემთხვევაში, თუ ლევან კობიაშვილი ბოდიშს არ მოიხდის, მაშინ პროტესტის უკიდურეს ფორმაზე გადავალთ!

ხელბურთელთა ჩემპიონატის ფინალისტები ცნობილია

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები ხელბურთში. გაირკვა, რომ კაცების ფინალში ითამაშებენ ბათუმის შავი ზღვის ბიჭები და თბილისის პეგასი.

ნახევარფინალებში დრამატული მატჩი პეგასსა და ქუთაისს შორის გაიმართა. პეგასმა 30:29 მოიგო. ბოლო წუთზე ჯერ ქუთაისის მეკარე გულეიშვილმა 7-მეტრიანი აიღო და თავის გუნდს გათანაბრების შანსი დაუტოვა, მატჩის დასრულებამდე 10 წამით ადრე კი იგივე გააკეთა პეგასის გოლკიპერმა დიხამინჯიამ, რომელმაც ამ თამაშში 4 7-მეტრიანი მოიგერია.

პეგასი თავიდანვე დაწინაურდა და პირველი ტაიმში 8 ბურთითაც იგებდა (13:5). თბილისელთა 2 მოთამაშე, კალანდაძე და ზარნაძე მეტოქემ პერსონალურად აიყვანა, თუმცა, ორივემ ჯამში მაინც გაიტანა 17 გოლი, მათ მხარი აუბეს კუხალაშვილმა და პეგასის ერთადერთმა ვეტერანმა გრიშიკაშვილმა.

ქუთაისის გამთამაშებელ გამზარდიას ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა, ამიტომაც გუნდს მხოლოდ პერიოდულად, მცირე ხნით ეხმარებოდა. რიონისპირელთა გუნდს გაუძღვნენ სტურუა (9 გოლი) და რუსტამოვი (8), მეორე ტაიმში კარგად შემოვიდა 18 წლის ჯემალ იმნაძე და გუნდმა 6 ბურთით წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ (11:17) დევნა წამოიწყო. დასრულებამდე 13 წუთით ადრე რუსტამოვმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა და ამის შემდეგ თამაში 1-2 ბურთის ფარგალში იყო, სანამ არ დადგა ბოლო წუთი, როდესაც ქუთაისს პირველად მიეცა გათანაბრების შანსი, მაგრამ დიხამინჯიამ 7-მეტრიანი მოიგერია და პეგასმა 30:29 მოიგო.

მეორე ნახევარფინალში რეგულარული სეზონის გამარჯვებული ბათუმი ფავორიტი იყო თელავის სტუიმედთან, მაგრამ ტაიმის ბოლოს იმედის მეკარე ცინცაძეს 12 მოგერიება ჰქონდა, ანგარიში კი თანაბარი იყო. ბათუმმა უპირატესობა მხოლოდ მეორე ნახევარში მოიპოვა. მატჩში საუკეთესო კი ბათუმელთა უკანახაზელი სიმონია იყო – 8 გოლი.

როგორც გითხარით, ფინალში შარშან მოპოვებულ ტიტულის დაცვას ბათუმი პეგასის წინააღმდეგ შეეცდება. ამ გუნდებისთვის ეს ამ სეზონში მეორე სატიტულო მატჩი იქნება – საქართველოს თასის ფინალში პეგასმა გაიმარჯვა.

დანიის ნაკრებმა შემადგენლობა დაასახელა

2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრები 7 ივნისს შინ დაუხვდება გიბრალტარს, ხოლო 10-ში დანია ესტუმრება.

თავის მხრივ, 7 ივნისს დანიელები ირლანდიას უმასპინძლებენ. სკანდინავიელებმა უკვე დაასახელეს ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ მატჩებისთვის მოემზადებიან.

მეკარეები: შმაიხელი (ლესტერი), რუნოუ (აინტრახტი), ჰანსენი (მიდტიულანდი);

მცველები: ბიელანდი (კოპენჰაგენი), კიაერი (სევილია), კრისტენსენი (ჩელსი), დალსგორი (ბრენტფორდი), ლარსენი (უდინეზე), მ.იორგენსენი (ჰადერსფილდი), ანკერსენი (კოპენჰაგენი);

ნახევარმცველები: ერიქსენი (ტოტენჰემი), დურმისი (ლაციო), ვასი (ვალენსია), შიონე (აიაქსი), ლერაგერი (ჯენოა), დელანი (დორტმუნდი), ჰიობერგი (საუთჰემპტონი);

თავდამსხმელები: პოულსენი (ლაიპციგი), სკოვი (კოპენჰაგენი), ნ.იორგენსენი (ფეიენოორდი), ბრაითვაიტი (ლეგანესი), დოლბერგი (აიაქსი).

დანიის ნაკრებს ჯგუფში ერთი თამაში აქვს ჩატარებული. შვეიცარიასთან სტუმრად 0:3 აგებდნენ და 3:3 დაასრულეს. საქართველომ კი ორი მატჩიდან ორივე წააგო.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

რაგბი: 20 წლამდე ნაკრები მსოფლიოსთვის დაირაზმა

საქართველოს 20 წლამდე მორაგბეთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა 4-22 ივნისს არგენტინაში გასამართი მსოფლიო რაგბის ჩემპიონატისთვის 28-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

უმცროსი ბორჯღალოსნები ამ ასაკობრივ მსოფლიო ჩემპიონატზე ზედიზედ მეოთხედ ითამაშებენ. თავიდან ჩვენებმა თითო თამაში მოიგეს (2016 წელს იტალიასთან 18:17 და 2017 წელს არგენტინასთან 26:25), რითიც ადგილი შეინარჩუნეს ელიტაში, ხოლო შარშან კი ზედიზედ 3 მეტოქე დაამარცხეს (ირლანდია 24:20, იაპონია 24:22 და შოტლანდია 39:31) და მე-9 ადგილი დაიკავეს.

წელს არგენტინაში გ ჯგუფში, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკისა და შოტლანდიის ნაკრებებთან ვითამაშებთ, იქ დაკავებული ადგილის მიხედვით კი გაირკვევა, საბოლოოდ რომელი პოზიციისთვის გააგრძელებენ ბრძოლას უმცროსი ბორჯღალოსნები. პროგრამა მინიმუმი ახლაც 12 უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნებაა.

მსოფლიო ჩემპიონატზე წამსვლელთა შემადგენლობაში 15 მორკინალი და 13 ხაზის მოთამაშეა. მათგან 6 პირველხაზელი ლეგიონერია. ქართული კლუბებიდან ამ ხაზში მხოლოდ ჯიქის კვაჭი ლუკა ნიორაძე მოხვდა. საგულისხმოა, რომ რამდენიმე მორაგბეს ფრანგულ კლუბებთან უკვე გაფორმებული აქვს კონტრაქტი და ისინი ახალ გუნდებს 20-წლამდელთა ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შეუერთდებიან.

ყველაზე მეტი, 5 მოთამაშით ლელო სარასენსია წარმოდგენილი, 20-წლამდელებში 4 მორაგბე ჰყავს არმაზს, 3-3 ჯიქსა და აიას, 2-2 არმიასა და ხარებს, ხოლო თითო-თითო ხვამლს, ყოჩებსა და აკადემიას. არგენტინაში წამსვლელ მორაგბეთაგან ორს, თედო აბჟანდაძესა და ვანო კარკაძეს, ზურგს ბორჯღალოსანთა რიგებში თამაშის გამოცდილება უმაგრებს. მნიშვნელოვანია, რომ აბჟანდაძისთვის ეს 20-წლამდელთა მე-3 ჩემპიონატია.

გუნდის მთავარი მწვრთნელი ილია მაისურაძე ამბობს, რომ გუნდი ყველა მატჩში ბოლომდე იბრძოლებს:

– სამწუხაროდ, რამდენიმე მორაგბე ტრავმის გამო მოვისაკლისეთ, გიორგი ახალაძე კი დისკვალიფიცირებულია. შემადგენლობაში არ გვყავს მაღალი, მხტომელი ბიჭები და დერეფანში ლიმიტირებულები ვიქნებით. სამაგიეროდ, ძლიერები უნდა ვიყოთ კონტაქტის ზონაში, ღია თამაშში და არავისთვის ვიქნებით საჩუქარი. გულშემატკივარს ვპირდები, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრძოლა ყველა თამაშში ბოლო წუთამდე გაგრძელდება.

უმცროსი ბორჯღალოსნები არგენტინაში ხვალ მიემგზავრებიან და პირველ მატჩს 4 ივნისს, საქართველოს დროით 20 საათზე, ახალ ზელანდიასთან სანტაფეში გამართავენ. ამის შემდეგ ისინი როსარიოში გადაინაცვლებენ და ჩვენი დროით 17:30 საათზე, 8 და 12 ივნისს, შესაბამისად, სამხრეთ აფრიკასა და შოტლანდიას შეხვდებიან. ნახევარფინალური თამაშები – 17, ხოლო ფინალური 22 ივნისს ჩატარდება.

მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ასეთი იქნება:

შეჩაინება

ნიკა ღვალაძე (გრენობლი, საფრანგეთი), ლუკა ჭელიძე (ტულონი, საფრანგეთი), ვანო კარკაძე (ორიაკი, საფრანგეთი), ლუკა ნიორაძე (ჯიქი), გია ხარაიშვილი (რასინგ 92, საფრანგეთი), ზაურ თევდორაშვილი (ანგულემი, საფრანგეთი), ლუკა აზარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), ლუკა გელაშვილი (არმია), ვახტანგ ჯინჭარაძე (ჯიქი), ტატო გვიმრაძე (ხვამლი), პაატა ბურჭულაძე (ხარები), ბექა ყორიაული, კობა კოლოტაური (ორივე ლელო), იოსებ გუშარაშვილი (ყოჩები), იოანე იაშაღაშვილი (არმაზი);

ხაზი

მიხეილ ალანია, გივი ცინცაძე, კოტე მარჯანიშვილი (ყველა არმაზი), გიორგი მარგალიტაძე, დემურ თაფლაძე, ოთარ ლაშხი (ყველა ლელო), თედო აბჟანდაძე, ლაშა ლომიძე, ირაკლი სიმსივე (ყველა აია), სანდრო მარგიანი (აკადემია), ზურა ქავთარაძე (ხარები), დაჩი პაპუნაშვილი (არმია), თემურ ჭიჭინაძე (ჯიქი).

გვარდიოლა მაინც ტურინში მიდის?

სიტუაცია ტურინის იუვენტუსსა და პეპ გვარდიოლასთან დაკავშირებით უცნაურად გამოიყურება.

ჯერჯერობით ყველა გავლენიანი გამოცემა ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას და მაქსიმალურად ერიდება ნებისმიერი სახის ცნობების გამოქვეყნებას ამ საკითხზე. ეს იმიტომ, რომ სპორტ იტალიას წამყვანს ბოდიშს მოხდა მოუხდა საკუთარი განცხადების გამო, რომელიც გვარდიოლას იუვეში მისვლას გადაწყვეტილ საკითხად მიიჩნევდა.

და მაინც, აპენინური მედიის მტკიცებით, კონტაქტი მხარეებს შორის მარტში შედგა.

ესპანელი არ იყო წინააღმდეგი კარიერის სერია აში გაგრძელებაზე, მაგრამ ამ დროისთვის ჟურნალისტებისთვის ერთადერთი ხელჩასაჭიდი ცნობები გუშინ მილანში დაფიქსირებული შეხვედრა გახდა.

გარდა ამისა, გვარდიოლას უყვარს ახალ-ახალი თავგადასავლები. ის ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდება. მით უმეტეს, მანჩესტერ სიტიში ზედიზედ ორჯერ მოიგო პრემიერლიგა და მოტივაცია შესუსტებულია, ამ შემადგენლობით ჩემპიონთა ლიგის მოგება კი გაცილებით პრობლემატურია, თანაც, ფინანსური ფეარ პლეის პრინციპების დარღვევის გამო სიტის სანქციები ემუქრება... ასე რომ...

არადა, საუბარი სეზონში 20-25 მილიონ ევროზე მიდის, რომელიც პეპის წლიური გასამრჯელო შეიძლება ტურინში გახდეს, კონტრაქტის ხანგრძლივობა კი, 4-წლიანია.

იტალიური მედიაც წერს, რომ გვარდიოლა იუვენტუსთან 4-წლიან კონტრაქტს 4 ივნისს გააფორმებს, ხოლო 14 ივნისს „ალიანც სთედიუმზე“ წარადგენენ.

ტურინულმა კლუბმა გამოაცხადა, რომ 14 ივნისს იუვენტუსის სტადიონის ტური დაიხურება და მნახველებს არ მიიღებს. ამ გადაწყვეტილების მიზეზი არ დასახელებულა, მაგრამ, სავარაუდოდ, სწორედ ახალი მწვრთნელის პრეზენტაციას უნდა უკავშირდებოდეს.

ბასილაშვილმა ფრანგს მოუგო და ფრანგს შეხვდება

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ლიონის ტურნირში ჩაება. აღსანიშნავია, რომ 250-ქულიან ტურნირზე ნიკოლოზი პირველ ნომრადაა განთესილი.

ჩვენებური, ჯერჯერობით, ფავორიტის სტატუსს ამართლებს – მერვედფინალურ ეტაპზე ნიკამ მასპინძელი ლამასინი 2 სეტში დაამარცხა (7:5, 7:5) და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

ჩვენებურს პირველ სეტში პრობლემები ჰქონდა, მეორე სეტის დასაწყისში კი დომინირებდა, თუმცა კონცენტრაცია მაინც დაკარგა და განხორციელებული ბრეიკის შემდეგ წაგებული მოწოდებით მეტოქეს შანსი მისცა.

საბოლოოდ ბასილაშვილმა მეორე სეტის მე-12 გეიმში მეტოქეს მოწოდება აიღო და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა, სადაც მისი მეტოქე ასევე ფრანგი ვილფრედ ცონგა იქნება.

ფორმატი არ შეიცვლება – ყატარი 32 გუნდს უმასპინძლებს

მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის ფორმატი უცვლელი დარჩება. ამის შესახებ ფიფამ განცხადება გააკეთა.

ყატარში კი კვლავინდებურად 32 ნაკრები ითამაშებს და 31 მონაწილე (მასპინძლის გარდა) კვალიფიკაციის შედეგად გაირკვევა. საკვალიფიკაციო ეტაპი 2020 წელს დაიწყება და 2021 წლის ნოემბერში დასრულდება.

უშუალოდ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი კი, 2022 წლის 21 ნოემბრიდან 18 დეკემბრამდე გაიმართება და ეს იქნება პირველი მუნდიალი, რომელიც ზამთარში გაიმართება.

გეტყვით რომ, ბოლო თვეებში ფიფა აქტიურად განიხილავდა გუნდების 48-მდე გაზრდის შესაძლებლობას, მაგრამ რევოლუციური ფორმატი არ შედგა.

ფიფას პრეზიდენტმა ჯანი ინფანტინომ ადრე განაცხადა, რომ თუ 48 ნაკრებს დაუშვებდნენ, მაშინ ყატარის მიღმაც უნდა ჩაეტარებინათ თამაშები. ამჯერად კი ეს აღარაა საჭირო.

სავარაუდოდ, ცვლილებას ძალაში ფიფა 2026 წლიდან შეიტანს, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატს ერთბაშად 3 ქვეყანა – აშშ, კანადა და მექსიკა უმასპინძლებს.

მოამზადა მანუელ ყორეულიანმა

ახალგაზრდა ხანდაზმულ საყვარელს სარკეზე გაკეთებული გზავნილებით ატერორებდა

დიდ ბრიტანეთში 28 წლის საყვარელი თავის ხანშიშესულ საყვარელს სარკეებზე ბიბლიურ გზავნილებს უტოვებდა, რათა მას ის საკუთარ ანდერძში ჩაეწერა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალმა დაიჯერა, რომ მას ღმერთი უგზავნიდა შეტყობინებებს და კინაღამ ჭკუაზე შეიშალა.

ბენჯამინ ფილდი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა 83 წლის პენსიონერ ენნ მურ-მარტინის კეთილგანწყობის მოპოვებას. ის მას სწერდა წერილებს, უგზავნიდა ღია ბარათებს, უთხზავდა სასიყვარულო ლექსებს და დაქორწინებაზე მიანიშნებდა. მთელი ამ დროის განმავლობაში ახალგაზრდა შეყვარებული ქალს ფულს სთხოვდა. მამაკაცი მას უმტკიცებდა, რომ ავადმყოფი ძმის სამკურნალოდ 27 ათასი ფუნტი სტერლინგი სჭირდებოდა.

მალე მურ-მარტინმა სარკეებზე უცნაური წარწერების შემჩნევა დაიწყო, რომლებიც ბიბლიიდან იყო ამოღებული. რელიგიურმა ქალბატონმა გადაწყვიტა, რომ ეს ღმერთის ხელი იყო. მას საკუთარი ფსიქოლოგიური მდგომარეობა აშფოთებდა და გადაწყვიტა, საკუთარი სახლი თავისი ახალგაზრდა საყვარლისთვის დაეტოვებინა, მაგრამ გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე მან გადაიფიქრა, ვინაიდან გადაწყვიტა, რომ ფილდი მის მოწამვლას შეეცადა.

მალე ქალი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა, ხოლო მამაკაცი დააპატიმრეს. პოლიციელებმა მის ტელეფონში სარკეებზე გაკეთებული წარწერების ფოტოსურათები ნახეს. მას ბრალად სდებენ იმას, რომ ის ქალის მკვლელობას გეგმავდა, რომელსაც შემდეგ უბედურ შემთხვევად გაასაღებდა.

მანამდე ბრალდებული მურ-მარტინის მეზობელ, 69 წლის უნივერსიტეტის პროფესორ პიტერ ფარკჰარმთან ცხოვრობდა. ის მამაკაცთან დაქორწინებას გეგმავდა, მაგრამ პენსიონერი ქალბატონის გაცნობის შემდეგ პროფესორს დაშორდა. გამომძიებლები ეჭვობენ, რომ ფილდმა პროფესორი მოკლა.

ბრალდებული პროფესორის მკვლელობას უარყოფს. ის აცხადებს, რომ, მართალია, მურ-მარტინს ატყუებდა, თუმცა მეგობართან ერთად მკვლელობის დაგეგმვას არ ეთანხმება.

საქმის მოსმენა გრძელდება.

პოლონელმა ქალმა ექვსი ტყუპი გააჩინა

პოლონეთში ქალმა პირველად გააჩინა ექვსი ტყუპი. ტყუპები – ოთხი გოგო და ორი ბიჭი კრაკოვის უნივერსიტეტის საავადმყოფოში 20 მაისს დაიბადა.

ექიმებმა გადაწყვიტეს ქალისთვის ვადამდე გაეკეთებინათ საკეისრო კვეთა. ქალს ის ფეხმძიმობის 29-ე კვირის თავზე გაუკეთდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დედა თავს კარგად გრძნობს. ბავშვები სპეციალურ ინკუბატორში მოათავსეს. ყოველი ბავშვის წონა დაახლოებით ერთი კილოგრამია.

საავადმყოფოს წარმომადგენელმა მარია ვლოდკოვსკამ აღნიშნა, რომ პოლონეთში ეს ექვსი ტყუპის დაბადების პირველი შემთხვევაა.

სტატისტიკის თანახმად ექვსი ტყუპი 4,7 მილიარდი შემთხვევიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში იბადება.

ფრანგებს უფასო ვიაგრა შესთავაზეს და გამრავლებისკენ მოუწოდეს

საფრანგეთის ილ-დე-ფრანსის რეგიონის მონტრო-ფოტ-იონის კომუნას მერმა შეყვარებული წყვილებისთვის ვიაგრას უფასოდ დარიგების წინადადება წამოაყენა, რათა შობადობის დონემ აიწიოს.

მერ ჟან დებოზის თქმით, ბავშვების მცირე რაოდენობის გამო სოფელში, რომელშიც 650 ადამიანი ცხოვრობს, ორი ადგილობრივი სკოლა დახურვის პირასაა.

– სოფელი ბავშვების გარეშე მკვდარი სოფელია, – აღნიშნა მერმა.

მაისის შუა რიცხვებში დებოზიმ გასცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც 18-დან 40 წლამდე ასაკის სოფლის მცხოვრები პოტენციის ასამაღლებელი საშუალების მიღებას უფასოდ შეძლებს. უცნობია, თუ როგორ აპირებს მერი საკუთარი დაპირების შესრულებას, რადგანაც ცნობილია, რომ საფრანგეთში აფთიაქები ვიაგრას მხოლოდ ექიმის დანიშნულებით გასცემენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

წყვილმა ორი წელი 80 ათასი ფუტკრის გარემოცვაში იცხოვრა

ესპანეთის ქალაქ გრანადას მცხოვრებლებმა საკუთარი ბინის საძინებელი ოთახის კედელში ცოცხალი ფუტკრები აღმოაჩინეს.

წყვილმა აღიარა, რომ ორი წლის განმავლობაში მათ კედლიდან ბზუილის ყრუ ხმების ესმოდათ. მათ ხშირად ეღვიძებოდათ ღამით და გაურკვეველი ხმების გამო დაძინებას ვეღარ ახერხებდნენ. დაახლოებით სამი თვის წინ ხმები გაძლიერდა და მათ ადგილობრივი მეფუტკრე გამოიძახეს.

ადგილზე მისულმა მამაკაცმა საძინებელი დაათვალიერა და კედელში 80 ათასამდე ცოცხალი ფუტკარი აღმოაჩინა.

– იქ ისეთი ფუტკრების დიდი ოჯახი იყო, რომ საკვირველია, ყურებში გამუდმებით როგორ არ ესმოდათ ბზუილის ხმები, – განაცხადა მეფუტკრემ, – არ მესმის, როგორ იცხოვრეს მათ ორი წელი ასეთ პირობებში.

ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“

დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: **ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა.**

მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული, ოფისი 7.

☎ 599-498-423 – ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით

ასტროპროგნოზი

24 მაისისთვის

ვერძი – მოსალოდნელია პრობლემები პირად ცხოვრებაში. კონფლიქტი ახლობელ ადამიანთან დროებითია. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ჰარმონიული დღეა, შესაფერისი პერიოდია აქტიური და შინაარსიანი დასვენებისათვის. ნებისმიერ საქმეს დღეს თავს იოლად გაართმევთ. მზად იყავით რომანტიკული თავგადასავლებისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. **ტყუპები** – მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი. მატერიალური მდგომარეობა მკვეთრად გაგიუმჯობესდებათ. **კირჩხიბი** – ოჯახში სიმშვიდეა. დაისვენეთ და გაერთეთ მყუდრო გარემოში. **ლომი** – ქალებისთვის კარგი პერიოდია მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლე შეინიშნება. **ქალწული** – დღის პირველ ნახევარში წარმატებას მოგიტანთ ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტი, ასევე საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები. კომერციული ოპერაციები სასურველ შედეგს გამოიღებს. **სასწორი** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის დღეა. ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – გაიფართოვეთ ცოდნა. თქვენი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. კარგი დღეა დაწყებული საქმის დასამთავრებლად. **მშვილდოსანი** – წარმატებული დღეა ყველა თვალსაზრისით. ბიზნესის დასაწყებად მშვენიერი პერიოდია. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა გაამართლებს. **თხის რქა** – დღეს, შესაძლოა, ისეთი საქმიანი შემოთავაზება მიიღოთ, რომელიც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას ძალზე გააუმჯობესებს. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა, განსაკუთრებით ქალებისთვის. კარიერაში წინსვლა გელით. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ ფინანსური ოპერაციების განხორციელებისგან თავი უნდა შეიკავონ. **თევზები** – ცრუ დაპირებები არ გასცეთ. ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ფრთხილად იყავით, არავინ მოგატყუოთ.

გისუჭვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. შებოლილი ძეხვი; 2. კუთხე საქართველოში; 3. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 4. ფოტოაპარატების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 5. საქართველოს ეროვნული გმირი, რომელიც ორჯერ იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე; 6. გადასახდელსახურავიანი ძველებური ეტლი; 11. ტერიტორიული ერთეული; 13. თვითმფრინავის, გემის დაქირავება გარკვეული ვადითა და პირობებით; 14. სამეჯლისო ცეკვა; 15. ჩინეთის ისტორიის, კულტურის, ეკონომიკის შემსწავლელი დისციპლინა; 17. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური სამხრეთ კორეაში; 18. საერთაშორისო ანგარიშსწორების საბანკო ჩეკი; 19. უდაბნო მონღოლეთსა და ჩინეთში.

თარაზულად: 7. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი; 8. გვარის ისტორია, საგვარეულო ნუსხა; 9. სუნთქვის ორგანო; 10. ბანკში გახსნილი ანგარიში; 12. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 14. ფრანგი მწერალი, რომან „ანგელოზების ამბოხების“ ავტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. დარტყმა კრივში; 18. სახელმძღვანელო თეორია, სისტემა; 20. დიდი სიცხე; 21. შლამიანი დანალექი მდინარის, ტბის ფსკერზე; 22. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 23. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 24. საქმის ზერელედ მცოდნე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სფინქსი; 2. კუპაჟი; 3. ხმელნიცკი; 4. ლამარა; 5. სიმპათია; 7. ხადა; 11. სპირალი; 13. სულგუნი; 15. თეთრა; 16. ძიუდო; 18. აპაში; 19. ბენცი.

თარაზულად: 6. ფრახტი; 8. ბულიმია; 9. წუმწუმა; 10. ქუთაისი; 12. რიალი; 14. კახეთი; 17. კალმასობა; 20. გრაფიკა; 21. არმაზი; 22. შვეცია; 23. მონოტიპი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყვირილა; 2. ფლუსი; 3. დინამიტი; 4. ჯიბუტი; 5. ათანელი; 6. პატრული; 11. პარმა; 13. პატენტი; 14. ტიტესტერი; 15. სატურაცია; 17. ეკლერი; 18. პრერია; 19. ლეგო.

თარაზულად: 7. ავრალი; 8. ციცინათელა; 9. არაქსი; 10. კაპუცინი; 12. ჰაუპტვახტი; 14. ტაიმსი; 16. რეგტაიმი; 18. პიტიუნტი; 20. პეპსი; 21. ბრა; 22. რენტგენი; 23. ფიცი; 24. ცოლიკაური.

თემურ თათარაშვილის სახელს უნებართვოდ იყენებენ

მომღერალ თემურ თათარაშვილის სახელს უნებართვოდ იყენებენ.

მომღერალმა შემთხვევით რესტორან „თაშრეს“ აფიშა ნახა, სადაც ეწერა, რომ 26 მაისს მათთან თემურ თათარაშვილი იმღერებდა:

– ცოტა უხერხული ხომ არაა ის, რომ მე, თემურ თათარაშვილი, არ ვმღერი 26 მაისს რესტორან თაშრეში და აფიშა დევს თქვენს გვერდზე?

ამ მიმართვის შემდეგ რესტორანმა აფიშა წაშალა.

გიგი დედალამაზიშვილმა 4.000 ლარი მოიგო

ჯგუფ „მგზავრების“ სოლისტმა გიგი დედალამაზიშვილმა გადაცემაში „ხარ თუ არა ყველაზე ჭკვიანი“ 4.000 ლარი მოიგო.

გიგიმ მეექვსეკლასელებთან ერთად ერთ-ერთი საჯარო სკოლის დასახმარებლად ითამაშა და მათი ბიბლიოთეკისთვის ახალი ქართული წიგნების შესაძენად სოლიდური თანხის მფლობელიც გახდა.

გიგიმ მეექვსეკლასელების დახმარებით სხვადასხვა საგნიდან დასმულ შეკითხვებს უპასუხა და წარმატებასაც მიაღწია, თუმცა გადაცემის ბოლოს მაინც აღიარა, რომ მეექვსეკლასელზე ჭკვიანი არ არის.

თბილისის სიმფონიური ორკესტრი პოლონეთში კონცერტებს გამართავს

26 და 28 მაისს თბილისის სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ კახიძის ხელმძღვანელობით კონცერტებს პოლონეთში გამართავს.

26 მაისის კონცერტი ეძღვნება საქართველოსა და პოლონეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 100 წლისთავს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის დაარსების 10 წლისთავსა და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. კონცერტი გაიმართება ვარშავის ეროვნულ ფილარმონიაში, ხოლო 28 მაისს ორკესტრი ვროცლავის ვიტოლდ ლიუტოსლავსკის სახელობის მუსიკის ეროვნულ ფორუმში წარდგება მსმენელის წინაშე.

საკონცერტო პროგრამაშია სტრავინსკის, ვენიავსკისა და ვახტანგ კახიძის ნაწარმოებები. ორკესტრთან ერთად ახალგაზრდა ქართველი მევიოლინე ანა ჭანია დაუკრავს.

„ყველაზე ძლიერი“ ნანა ნებიერიძემ და გიორგი მეგრელიშვილმა დატოვეს



რეალური შოუ „ყველაზე ძლიერი“ ორმა მონაწილემ დატოვა.

შოუ წარუმატებელი მოცურავე ნანა ნებიერიძისა და მსახიობ გიორგი მეგრელიშვილისთვის აღმოჩნდა.

რეალურ შოუში დასარჩენად იბრძოდნენ ნანა ნებიერიძე, გიორგი მეგრელიშვილი და ჯანო იზორია. ჯანო იზორიამ დანარჩენ კონკურსანტებს აჯობა და ნანასა და გიორგის შანსი არ დაუტოვა.

რეალურ შოუს უკვე სამი კონკურსანტი გამოაკლდა – ნანა ნებიერიძე, გიორგი მეგრელიშვილი და ლევან ჯიქია, იგივე დული.

ქალმა მანქანას სიცხისაგან დასაცავად ნაკელი წაუსვა

ინდოელმა ქალბატონმა საკუთარი მანქანის ზედაპირი ძროხის ნაკელით დაფარა, რათ ის მზის მწველი სხივებისგან დაეცვა. ამის ამსახველი ფოტოსურათები ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ინდოელმა რუპეშ გაურანგა გასმა განათავსა.

ფოტოსურათზე ჩანს, რომ ტოიოტას მარკის ავტომობილს ორგანული სასუქი აქვს წასმული.

– ნაკელი საუკეთესო გამოყენებაა მათ შორის, რაც კიოდესმე მინახავს, – დაწერა გაურანგა გასმა, – 45 გრადუსი სიცხისაგან დასაცავად სეჯალ შახმა მას ძროხის ნაკელი წაუსვა.

მან ასევე დაამატა, რომ სურათი ქალაქ ახმედაბადშია გადაღებული.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მცხოვრებლები ძროხის ნაკელს სახლის კედლებს გარედან უსვამდნენ. ამგვარად ისინი ზამთარში შიგნით სითბოს ინარჩუნებდნენ, ხოლო ზაფხულში – სიგრილეს.

საავტორო უფლებათა ასოციაცია ხელოვანებს აფრთხილებს



საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია ხელოვანებს აფრთხილებს და საგანგებო განცხადებას ავრცელებს:

– ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთის მიერ შექმნილი საეჭვო ორგანიზაცია, საქართველოს უფლებამფლობელთა ასოციაცია, აქტიურად უკავშირდება საავტორო და მომიჯნავე უფლებებით მოსარგებლეებს, კაფე-ბარებს, რესტორნებს, სავაჭრო დაწესებულებებს და ა.შ. და მოითხოვს მათგან მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენებისთვის ლიცენზიის გაფორმებას.

გვსურს, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ მათ არ გააჩნიათ ამის უფლებამოსილება და ეს მოთხოვნა არის უკანონო. საქართველოში მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულებაზე ნებართვის გაცემისა და ჰონორარის შეგროვების უფლებამოსილებით სარგებლობს მხოლოდ საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია, რომელსაც კანონით მინიჭებული აქვს კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სტატუსი. შესაბამისად, სხვა ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ მოითხოვს ლიცენზიის გაფორმებასა და ჰონორარის გადახდას.

შეცდომისა და შემდგომი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ, თავი შეიკავოთ ამ საეჭვო ორგანიზაციასთან ურთიერთობისგან და გვაცნობოთ ყველა ასეთი შემთხვევის შესახებ, რადგან მათთან ხელშეკრულების გაფორმება არ გაგათავისუფლებთ ჩვენ წინაშე არსებული ჰონორარის გადახდის ვალდებულებისგან და ჩაითვლება კანონის დარღვევად. ამასთან, მათი მხრიდან თქვენ მიმართ წამოჭრილ ყველა პრეტენზიაზე პასუხისმგებლობას იღებს ჩვენი ორგანიზაცია.

ბესო ზანგური: „ეს არის ქვეყანა, რომელმაც არ გამახარა მე!“



რუსთაველის თეატრის მსახიობმა ბესო ზანგურმა ინტერნეტში გაავრცელა განცხადება, სადაც ამბობს, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელმაც ის არ გაახარა:

– ეს არის ქვეყანა, რომელმაც არ გამახარა მე, ბესო ზანგური... საოცარი გულისტკივილით ვწერ ამ პოსტს და მინდა, ყველა მკითხველმა კარგად გამიგოს... ქვეყანაში, სადაც ოსტატები არიან ბლოკის ხელოვნებით.. მე არ ვიცი, რომ არა რობერტ სტურუა, სად ვიქნებოდი საერთოდ.. დიახაც, რომ რუსთაველის თეატრია ერთადერთი ადგილი, სადაც „იმის შვილი და იმის პროტექცია არ ჭრის“ და ამაში ყველა მსახიობი დამეთანხმება...

არც ერთი ფილმი, არც ერთი გადაცემა არ დაგიძახებს, თუ ვინმე არ გყავს, რომ პროტექცია გაგიწიოს და არ შემეკამათოს არავინ ამაში... ნუთუ არ მოგბეზრდათ ერთი და იგივე სახეები, ერთი და იგივე ადამიანები, ერთი და იგივე საშემსრულებლო ხარისხი? ახალი არაფერი გინდათ? იცით, რომ თქვენ ადამიანის სიცოცხლის დროის მკვლელები ხართ? ისე გავიდა ჩემი ახალგაზრდობა, ერთ ფილმში არ ვარ გადაღებული. არასოდეს არც ერთ ნორმალურ გადაცემაში არ ვარ მიწვეული. ასე თუ ისე, რეალობას ვერ გავექცევით, მთავარ როლებს ვინც თამაშობს, წამყვანი არტისტი ეწოდება მას და თან სტურუას არტისტი კიდევ რაღაცნაირად გეჩხირებათ ყელში.

მე ვნახე, რამაზ ჩხიკვაძე როგორ იწვა პირველი ღამით მიტოვებული შუა სცენაზე, რომ გარდაიცვალა და იმის მერე ჩემი აზრი მაქვს ჩემს პროფესიაზე და მერე ვუყურებ, საზღვარგარეთ როგორ ეფერებიან და ხელისგულზე ატარებენ. არა ხართ მართალი არანაირად და ის წამი, ძილის წინ-ს რომ ვეძახით, თქვენში უწამობაა, რადგან ფიქრი მხოლოდ გესლით გაქვთ მოწამლული. მოწამლული ფიქრი კი ნარკომანიულ დღეს და ცხოვრებას ქმნის, ანუ ერთფეროვნების ჟამთა სვლას და თქვენც მიდიხართ. და მიდიხართ და ჰაერი. და მიდიხართ და ჰაერი და არაფერია ეს ჰაერი. უფერო ჰაერი.

გაამდიდრეთ ხარისხი, გაამდიდრეთ მაყურებელთა თვალები, მოაწყვეთ დღესასწაულები ახალი სახეებით, აჩუქეთ სიცოცხლე არტისტებს და იცოცხლებს ეს ქვეყანა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მამაკაცმა ქალიშვილს ფული მოჰპარა და ეროტიკულ მასაჟში დახარჯა

ამერიკის ორეგონის შტატის მკვიდრმა თავის მოზარდ გოგონას ფული მოჰპარა და შემდეგ ეროტიკულ მასაჟში დახარჯა.

ბრაიან დევიდ კუტიურმა თავის მოზარდ გოგონას 700 დოლარი მოჰპარა, რომელიც გოგონამ ნამცხვრების გაყიდვით გამოიმუშავა და ის ინტიმური მომსახურებისთვის გამოიყენა. იმისთვის, რომ საკუთარი თავიდან ეჭვი აერიდებინა, მან სახლის გაქურდვის ინსცენირება მოაწყო.

კუტიურმა მოიგონა ლეგენდა, რომლის თანახმადაც, დამნაშავემ შენობაში შეაღწია და მას თავს დაესხა. პროკურორის თქმით, შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა ფულის დაკარგვა დააფიქსირეს. მათ ასევე ნახეს მამაკაცის გაფუჭებული ნოუთბუქი და სისხლის კვალი. საოლქო პროკურორის თანაშემწე ტომას ბელესიუს მტკიცებით, როგორც ჩანს, მან საკუთარ თავზე ეჭვის გასაფანტად დაზიანება თავადვე მიიყენა.

გამომძიებლებმა მამაკაცის მონათხრობში შეუსაბამობები აღმოაჩინეს და გამოძიება დაიწყეს. შედეგად კუტიურმა აღიარა დანაშაული, როდესაც ჩამჭრელი კითხვებისთვის პასუხის გაცემა ვეღარ შეძლო.

მისი საქმის მოსმენა რამდენიმე დღის წინ გაიმართა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კუტიურმა წლინახევრით პირობითი პატიმრობა და 80 საათი საზოგადოებრივი საქმიანობის შესრულება დაეკისრა. ის იძულებული იქნება, მიყენებული ზარალი აანაზღაუროს და ჯარიმის სახით 100 დოლარი გადაიხადოს.

აშშ-ში გარდაცვლილის სასუქად გამოყენება დაუშვეს

ამერიკის ვაშინგტონის შტატის ხელისუფლებამ გარდაცვლილი ადამიანების ცხედრების სასუქის სახით გამოყენების ნებართვა გასცა.

შტატის გუბერნატორმა ჯეი ინსლიმ შესაბამის კანონპროექტს ხელი მიმდინარე წლის 21 მაისს მოაწერა.

საბუთების თანახმად, კომპოსტირება სტანდარტული დასაფლავების ან კრემაციის ალტერნატივის სახით განიხილება. გარდაცვლილის სხეულს მოათავსებენ ექვსკუთხა ფოლადის კონტეინერში, რომელშიც ასევე იქნება ალფაფა, ნახერხი და ჩალა.

შემდეგ მას მჭიდროდ დახუფავენ და 30 დღეში სხეული ბუნებრივი გზით გაიხრწნება. ამის შემდეგ კი გარდაცვლილის ნათესავებს მიღებული სასუქის მებაღეობაში გამოყენება შეეძლებათ. ეს საშუალება უსაფრთხოდ იქნა მიჩნეული გარემო სამყაროსთვის. ამერიკის ვაშინგტონის შტატის გარდა, ის ასევე ლეგალიზებულია შვედეთშიც.

ერთგულმა კატამ 300 კილომეტრი გაიარა და მშობლიურ მონასტერში დაბრუნდა

უკრაინაში კატამ, სახელად მურჩიკმა, დაახლოებით 300 კილომეტრი გაიარა და მშობლიურ მონასტერში დაბრუნდა, რომელიც ლვოვის ოლქის სოფელ ლავროვში მდებარეობს.

ცხოველმა მონასტერში რვა წელი იცხოვრა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას უვლიდა ღვთისმსახური, რომელიც მოღვაწეობის გასაგრძელებლად ქალაქ ლუცკში გადავიდა. ის კატას ძალიან შეეჩვია და გადაწყვიტა, თან წაეყვანა.

როგორც ჩანს, მურჩიკს ახალი ადგილი არ მოეწონა და მონასტერში დაბრუნდა. მონასტრის მსახური გაოცდა, როდესაც კართან ერთგული კატა დაინახა. ასეულობით კილომეტრგამოვლილი ცხოველი არაქათგამოცლილი ჩანდა. ამჟამად მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

24 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.7799

ევრო — 3.0954

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.516

100 რუსული რუბლი — 4.3239

ამინდის პროგნოზი 24 მაისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

14 მაისიდან

ქართული მითები



ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

21 მაისიდან

ძმები გრიმები

ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

10 მაისიდან

ლევ ტოლსტოი

ომი და მშვიდობა

ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ანტონიო კონტე ინტერს ჩაიბარებს

ანტონიო კონტე მომავალ სეზონში ინტერის მწვრთნელი გახდება.

ამის შესახებ ინფორმაციას იტალიური მედიასაშუალებები ავრცელებენ.

კონტე მალე ჩაფრინდება მილანში და ინტერთან 3-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, რომლის მიხედვითაც, მისი ანაზღაურება წელიწადში 10 მილიონი ევრო იქნება.

კონტე ერთი წლის განმავლობაში უგუნდოდ იყო და ბოლოს ჩელსიში მუშაობდა, საიდანაც 2018 წლის ზაფხულში გაათავისუფლეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კონტემ ჩელსის სასამართლოში უჩივლა, რადგან ლონდონურმა კლუბმა მას კომპენსაცია არ გადაუხადა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, აი, ბავშვი სა-ბავშვო ბაღიდან მოვიყვანე.

– კარგია და რა დავარ-ქვათ?

– ???

– ჩვენი შვილი უკვე სკო-ლაში სწავლობს, სკოლაში!!!

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ხვალ დედაჩემი ჩამოდის!

ქმარი ხმას არ იღებს.

– დიდი ხნით არა, სულ ორი კვირით.

ქმარი ისევ დუმს.

– გაიგე, რაც გითხარი?

ქმარი ისევ დუმს.

– ძალიან კარგი. ვიცოდი, რომ არ გაბრაზდებოდი!

ქმარმა მძიმედ ამოიხვნეშა.

– და ნუ მიყვირი!

•••

გზაზე მიმავალი ახალგაზ-რდები მორზე მჯდარ მოხუცს შენიშნავენ და ერთ-ერთი ეკით-ხება:

– ბიძია, როგორ მივიდეთ სოფლამდე?

– წახვალთ პირდაპირ, შეგ-ხვდებათ კანაფის ველი. მას რომ გაივლით, მიადგებით მო-ლაპარაკე მდინარეს...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– უკვე ათ წელზე მეტია, ცოლი გყავს და მისთვის ერ-თხელაც არ გიღალატია! რა-ტომ?

– ორი მიზეზია...

– ალბათ სიყვარული და ერთგულება.

– არა! სიზარმაცე და პორ-ნოსაიტები!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ივან რაკიტიჩი: „მინდა, რომ გრიზმანი ბარსელონის ფეხბურთელი გახდეს“

ბარსელონის ხორვატმა ნახევარმცველმა ივან რაკიტიჩმა ანტუან გრიზმანზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ძალიან გაუხარდება, თუ გრიზმანი ბარსე-ლონის ფეხბურთელი გახდება. რაკიტიჩის აზრით, გრიზმანი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორ-ვარდია:

– გრიზმანზე ძალიან კარგი წარმოდგენა მაქვს. მსოფლიო ჩემპიონატზე შარშან მან შესანიშნავად იასპარეზა და ატლეტიკოშიც წლების განმავლობა-ში ერთ-ერთი ლიდერი იყო. თუ გრიზმანი ჩემი თანაგუნდელი გახდება, ეს ძალიან გამახარებს.

ბარსელონა დეკომაც გააკრიტიკა

ბარსელონის ყოფილმა ფეხბურთელმა, პორტუგა-ლიელმა დეკომ ბარსელონა გააკრიტიკა და თქვა, რომ ლივერპულთან მსგავსი წაგება ყოვლად მიუღებელია.

დეკოს აზრით, ეს წაგება ბოლომდე ვალვერდეს ბრალი არ არის და ფეხბურთელებიც დამნაშავეები არიან.

ბარსელონის ყოფილი ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ კატალონიურ გუნდს ახალი სისხლი სჭირდება და რამდე-ნიმე მოთამაშე უკვე დაბერდა.

ბარსელონა ხავიმაც გააკრიტიკა, რომლის აზრით, რეალი ჩემპიონთა ლიგაში გადამწყვეტ მატჩებს უკეთ თამაშობს, ვიდრე ბარსელონა.

მაურისიო სარი: „ჩელსიდან წასვლას არ ვაპირებ“

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო სარიმ განაცხადა, რომ ჩელსიდან თავისი სურ-ვილით წასვლას არ აპირებს და ამ გუნდთან ერთად ბევრი მიზანი აქვს დასახული. სარის იტალიაში დაბრუნებას უწინასწარმეტყველებ-დნენ, მაგრამ, მისი თქმით, ეს მხოლოდ ჭორებია:

– არ ვიცი, საიდან ჩნდება მსგავსი ინფორ-მაციები, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ ამჟამად მხოლოდ ჩელსიზე ვფიქრობ და სხვა გუნდები არ მაინტერესებს. მთლიანად ევროპის ლიგის ფინალზე ვარ კონცენტრირებული და იმედი მაქვს, მოვიგებთ.

ჯვოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქართველი კინორეჟი-სორი; 2. თურქეთის ტერიტორიაზე მდე-ბარე ქართული მონასტერი; 3. პატარა, ვიწრო ქუჩების სახელწოდება ძველ თბი-ლისში; 4. ფრანგი კინოვარსკვლავი მამა-კაცი; 5. მონაკოს მთავართა საგვარეულო დინასტია; 7. ფულის ერთეული იაპონია-ში; 11. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში; 13. მხარე გერ-მანიაში; 15. გარკვეული ვადითა და პირო-ბებით გაცემული თანხა; 16. დიდი ქრის-ტიანული დღესასწაული; 18. საცხოვრებე-ლი კომპლექსი თბილისში; 19. ქალაქი არაბთა გაერთიანებულ ემირატებში.

თარაზულად: 6. ოპერა „სევილიე-ლი დალაქის“ კომპოზიტორი; 8. დასავ-ლეთ საქართველოში გავრცელებული ხორ-ბლის უძველესი ქართული ჯიში; 9. გადა-ჭარბებული თავმოყვარეობა; 10. ბრიტა-ნეთის ძველი სახელწოდება; 12. მიქელანჯელოს ქანდაკება; 14. წყალი მყარ მდგომარეობაში; 17. დაბანდებული კაპიტალის მოგებიდან მიღებული თანხა; 20. გემოვნების შეგრძნების უნარის დაქვეითება-დაკარგვა; 21. მდინარე ზუგდიდში; 22. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 23. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ჩან ჩან ვან + მა ინ ტონ

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ჯიან ჰი ვან

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ბეი ფუ დი ჰუანბ ვან + სუნ საო

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/